მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი (იარი) №5 (391) (5774) 2014

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

მრავალქმიერ, მრავალქმიერ!



ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა მაშინ, როცა უზენაესმა ქანაანისაკენ მიმავალი გზა გაუნათა ეგვიპტის ტყვეობიდან განთავისუფლებულ ხალხს. იუო დიდებული სახელმწიფო, ჰყავდა მეფენი, წინასწარმეტყველნი, ჰოეტნი და ა.შ

მაგრამ მტერმა იავარჰყო ღვთის მიერ ბოძებული სახელმწიფო ისრაელიანთა.

ებრაელი ერის გენია თითქმის ოცი საუკუნის განმავლობაში ცდილობდა თავისი სახელმწიფოს აღდგენას. ღვთისეული მცნებების ერთგულებამ, ებრაულმა მუყაითობამ, თავგანწირულმა ბრძოლამ მშობლიური სანახების აღდგენისათვის, 1948 წელს შეაძლებინა მრავალსაუკუნოვანი ოცნების ასრულება — 1948 წლის მაისში ისრაელმა აღიდგინა სახელმწიფოებრიობა.

მკვდრეთით აღმდგარი ისრაელის სახელმწიფო ამ დღეებში 66-ე წლისთავს დღესასწაულობს. 20 მაისს ეს დღესასწაული საქართველოშიც მოვიდა — ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ–კულტურულ ცენტრში ქართული და ებრაული ინტელიგენციის წარმომადგენლები, ისრაელიდან ჩამოსული სტუმრები შეიკრიბნენ. გაიმართა ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. კონცერტის დაწყებამდე კი შეკრებილ საზოგადოებრიობას მიმართეს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ. მათი სიტყვები გაჟღენთილი გახლდათ ორი ქვეყნის — ისრაელისა და საქართველოს ღირსებათა წარმოჩენით, ქართველი და ებრაელი ხალხის ისტორიული მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავების სურვილით.

საღამოზე შესრულდა რ. შუმანის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის თხზულება 54, ჯ. გერშვინის ნაწყვეტები სიმფონიური სუიტიდან „ჰორგი და ბესი“ და შტრაუსის ჰოლკა „ჭექა-ქუხილის დროს“.

სადღესასწაულო კონცერტზე ორკესტრს დიდებულად დირიჟორობდა რუსთაველის ჰრემიის ლაურეატი ვახტანგ კახიძე.

კონცერტის მშვენება გახლდათ15 წლის ისრაელელი პიანისტი ტომ ზალმანოვი, რომელიც ქართველი ებრაელი ჰედაგოგი ქალბატონის ხ. მეგრელიშვილის აღსაზრდელია (იერუსალიმი).

AJC GLOBAL **FORUM** 2014
MAY 12 - 14 WASHINGTON, D.C.

მთავარი საზრუნავი — ებრაელთა მდგომარეობა

თითქმის ყოველი საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციის მთავარი საზრუნავი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ებრაელთა მდგომარეობაა, ის თუ რამდენადაა დაცული მათი უფლებები, რამდენად აქვთ საშუალება გამოავლინონ ნიჭი, ქმნადობის უნარი, როგორია ტოლერანტობის დონე მათს საცხოვრებელ ქვეყნებში, არის თუ არა ანტისემიტიზმი და რაც მთავარია, ყურადღების ცენტრშია ისრაელის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების საკითხი.

ამერიკის ებრაელთა კომიტეტი კი ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციაა — ისრაელის, მსოფლიოს ებრაელობის მაჯისცემაზეა მიყურადებული. ამ პროცესებში ყოველდღიურადაა ჩართული და ამის დასტური გახლავთ სწორედ ის, რომ ამერიკის ებრაელთა კომიტეტის ლიდერების სტატიებს ლამის სისტემატურად ვკითხულობთ მსოფლიოს დიდი, ავტორიტეტული პრესის ფურცლებზე, რომლებშიც ისინი მსჯელობენ, კამათობენ თანამედროვე ებრაელობის ყოფაზე, ეკამათებიან ძლიერთა ამა ქვეყნისა — იმათ, ვისაც დროდადრო უჩნდებათ ახირებული იდეები შეზღუდონ ებრაელობის რელიგიური, პოლიტიკური უფლებები.

ამერიკის ებრაელთა კომიტეტი ყოველწლიურად აწყობს ფორუმებს რომლებზეც განიხილება ებრაელი ერის, ისრაელის სახელმწიფოს სადღეისო პრობლემები. ეს პროცესი მიმდინარეობს არა ჩაკეტილ, „ებრაულ წრეში“, არამედ სხვა ერის წარმომადგენლებთან ერთად — ამ ფორუმების ხშირი სტუმრები გახლავან სახელმწიფოთა მეთაურები, საგარეო საქმეთა, თუ სხვა დარგების მინისტრები. დროდადრო მათ ერთობ არასასიამოვნო კითხვებზეც უწევთ პასუხის გაცემა: მსოფლიო წესრიგი გამონაკლისს ვერ ჰგუობს.

ამ ფორუმებს ზოგჯერ წინ უსწრებს, ზოგჯერაც ამთავრებს ახალგაზრდა ებრაელ ლიდერთა შეკრებები. წელს ახალგაზრდები „გლობალური ფორუმის“ დაწყებამდე შეიკრიბნენ. 9-10 მაისს ვაშინგტონში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ახალგაზრდა ებრაელები განიხილავდნენ საჭირბოროტო საკითხებს. 11-14 მაისს კი გაიმართა „გლობალური ფორუმი — 2014“, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ამერიკის ებრაელთა კომიტეტი ამ ბოლო წლებში ერთ ასეთ ტრადიციას ამკვიდრებს: სხვადასხვა ქვეყნის ებრაელი მოღვაწეები ვახშმობენ ამა თუ იმ ქვეყნის ელჩთან, ან ისრაელის რომელიმე სახელმწიფო მოღვაწესთან ერთად. ეს არის საქმიანი ვახშამი, რომელზეც ელჩი 10-15 სტუმარს უამბობს თავის ქვეყნის ავ-კარგზე — პოლიტიკაში, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე.

ამგვარი შეხვედრები წელსაც გაიმართა. ავსტრალიელ, ინგლისელ, ინდოელ, კანადელ, პორტუგალიელ, ესპანელ ებრაელებთან ვახშამზე მოვიდა აშშ-ში საქართველოს ელჩის მოადგილე ბ-ნ გიორგი ხელაშვილი (საქართველოს ელჩი აშშ-ში ბ-ნ არჩილ გეგეშიძე იმ საღამოს სხვა მეტად საპასუხისმგებლო საქმით გახლდათ დაკავებული). სასიამოვნო იყო ის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ებრაელებთან სავახშმოდ მოვიდა საქართველოს პარლამენტის წევრი ქ-ნი თინა ხიდაშელი. გ. ხელაშვილი და თ. ხიდაშელი დიდხანს საუბრობდნენ საქართველოს ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე. განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული იმ საკითხზე, რაც ასე აინტერესებთ დღეს დასავლეთში — საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა სასამართლო ორგანოებთან ურთიერთობა.

„გლობალური ფორუმის“ ტრიბუნაზე ამ ოთხი დღის განმავლობაში იდგნენ და ისრაელთან, ებრაელობასთან მიმართებაზე, ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებაზე, ირანის ატომურ ამბიციებზე, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე საუბრობდნენ იუდაისტური და ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენლები, მუსლიმი მოღვაწეები, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავრენტი ფაბიუსი, აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, ისრაელელი მინისტრი იუვალ შტეინიცი, სენატორი მაკკეინი,

ფორუმის მუშაობის დღეებში სერიოზული დებატები

დელეგატთა ერთი ჯგუფი — ცენტრში ევრაზიის კონგრესის პრეზიდენტი იულიუს მაინლი

გაიმართა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებზე ამ რეგიონში. ამ საკითხებზე მსჯელობდნენ პოლიტიკოსები, ექსპერტები, პოლიტოლოგები, ხოლო დასასრულს გლობალური ფორუმის მონაწილეებს მიმართა უკრაინის პრემიერ მინისტრმა არსენ იასენიუკმა.

ამერიკის ებრაელთა კომიტეტი ერთობ სერიოზული ორგანიზაციაა, როგორც არაერთხელ ითქვა, იგი გაუნელებლად მუშაობს ერის სასიკეთოდ და ამით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა არა მხოლოდ მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში, არამედ ებრაელ ბიზნესმენთა შორისაც. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ებრაელი ბიზნესმენები სიამოვნებით აფინანსებენ კომიტეტის მუშაობას. „გლობალური ფორუმის“ დამთავრების დღეს ცნობილი გახდა: ბიზნესმენმა, რომელმაც სახელის გამხელა არ ისურვა, 10 000 000 $ აჩუქა ამერიკის ებრაელთა კომიტეტს.

გლობალური ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ებრაული კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი — ვიცე-პრეზიდენტი, მწერალი გურამ ბათიაშვილი და ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრი ელენე ბერკოვიჩი.

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

იუვალ ფუქსი: ჰოლოკოსტის სწავლება უაღრესად მნიშვნელოვანია

ისრაელის ელჩი ლაპარაკობს ადამიანური ღირსებისათვის დაცემულ გმირებზე

ისრაელის ელჩი იხსენებს სერგო მეტრეველს—ერთადერთ ქართველს, რომელსაც იად ვაშემში პატივს მიაგებენ, რადგან მეორე მსოფლიო ომის წლებში ორი ებრაელი ბავშვი გადაარჩინა.

ჰოლოკოსტისა და გმირების ხსენების დღე ისრაელში 1953 წელს დაწესდა. მას ვარშავის გეტოს აჯანყების თარიღიდან (1943 წლის 19 აპრილი) რამდენიმე დღის შემდეგ და ისრაელის დამოუკიდებლობის დღემდე ცოტა ხნით ადრე აღვნიშნავთ.

სულ მალე ისრაელი 66–ე დამოუკიდებლობის დღეს იზეიმებს. ამჟამად ისრაელი ძლიერი და დამოუკიდებელი ქვეყანაა. იგი 1948 წელს ებრაელი ხალხის ისტორიულ მიწაზე დაარსდა და ებრაელთა ეროვნულ სახელმწიფოდ იქნა აღიარებული. ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომისა და იმ საზარელი ტრაგედიის რომელმაც 6 მილიონი ებრაელის სიცოცხლე იმსხვერპლა, სამი წლის შემდეგ. ექსტრემიზმის, ქსენოფობიისა და ანტისემიტიზმის ფენომენი დღემდე არსებობს და მათ ყოველი ჩვენგანი ყოველთვის და ყველგან უნდა ებრძოდეს.

ამ საქმეში განათლება უაღრესად მნიშვნელოვანია.

დღეს ჩვენ ვიხსენებთ ვარშავის გეტოს აჯანყების გმირებს და სხვა უამრავი ადამიანს, რომელთაც ნაცისტურ მანქანასთან ბრძოლას შესწირეს თავი. ჩვენ გვახსოვს ისინიც, ვინც ღირსების დასაცავად, ებრაელები, საკუთარი თავისა და ოჯახების საფრთხეში ჩაგდების ფასად გადაარჩინეს. მაგრამ ყველაზე მეტად ვიხსენებთ მათ, ვინც დახოცეს, გაწყვიტეს, გაგუდეს და დაწვეს ბანაკებში, ტყეებში, სოფლებსა და მატარებლებში. ევროპის მიწა მათი სისხლითაა გაჯერებული, ჩვენი ოჯახების წევრთა სისხლით.

დაახლოებით 25 ათასი ადამიანი, ვინც ჰოლოკოსტის დროს ებრაელები გადაარჩინა, 1953 წლის შემდეგ დღემდე იერუსალიმში, კატასტროფის მუზეუმში, იად ვაშემში ყველა დროის ღირსეულ ადამიანთა ნუსხაში არიან შეყვანილნი.

მათ შორის არის სერგო მეტრეველი, ვინც დნეპროპეტროვსკიდან გამოქცეული ემილ ზიგელის ოჯახი კისლოვოდსკიდან თავის მშობლიურ სოფელ უწერაში ჩამოიყვანა. ზიგელი გადარჩა და მოგვიანებით წითელ არმიას შეუერთდა 90–იან წლებში კი ისრაელში წავიდა საცხოვრებლად. მეტრეველს მსოფლიოს ღირსეული შვილის წოდება 2004 წლის 30 მაისს მიანიჭეს, იგი ამჟამად ამ წოდების მქონე ერთადერთი ქართველია იად ვაშემში.

მჯერა, რომ ჰოლოკოსტის სწავლება უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული ფაქტის ცოდნის, ასევე მსგავსი ფენომენის განმეორებისგან თავის დაზღვევის თვალსაზრისით.

მიხარია, რომ საქართველოში უფრო და უფრო მეტი აქტივობა ხდება, მიმდინარეობს არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა, იმართება სემინარები, ისწავლება ისტორია და ადამიანები ეცნობიან ჰოლოკოსტის მსხვერპლთა, გადარჩენილთა და მხსნელთა ამბებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ თვალსაზრისით საქართველოს შესწევს ძალა, საერთაშორისო დონეზე ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი და მოვუწოდებ საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას, შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა იმისათვის, რომ საქართველო ჰოლოკოსტის საკითხზე განათლებისა და ხსოვნის საერთაშორისო ჯგუფს შეუერთდეს, რომელიც 1998 წელს შვედეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გორან პერსონის ინიციატივით შეიქმნა. ამ ჯგუფში 31 ქვეყანაა გაწევრიანებული, მათ შორის არიან ისრაელი, აშშ, ევროპული სახელმწიფოები, შვეიცარია და სხვები. ჯგუფში 5 ქვეყანა დამკვირვებლის სტატუსით შედის; ასეთები არიან, მაგალითად, თურქეთი და ბულგარეთი.

ჯგუფში გაწევრიანებით საქართველო აღმოჩნდება მსგავსი შეხედულებების მქონე ქვეყანათა შორის, რაც ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიისა და ტოლერანტობის მქონე ქვეყნისთვის, ვფიქრობ, ბუნებრივი არჩევანია.

იუვალ ფუქსი
ისრაელის ელჩი საქართველოში

ისრაელის პეჯეჯი

ისრაელი პალესტინის ავტონომიასთან კონტაქტს წყვეტს და სანქციებს უწესებს

ისრაელის პრემიერ-მინისტრის კაბინეტის უშიშროების საბჭოს წევრები ექვს საათს მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ისრაელის სტრატეგია პალესტინის ავტონომიასთან მიმართებაში მას შემდეგ, რაც „ხამასმა“, „ფათხმა“ და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ (პგო) ხელი მოაწერეს ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნის შეთანხმებას.

კაბინეტის წევრებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება იმის თაობაზე, რომ პალესტინის ავტონომიასთან დაუყოვნებლივ შეწყდეს ურთიერთობა. ვიდრე ამ საკითხის კენჭს უყრიდნენ, კაბინეტის წევრებმა მოუსმინეს ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს. ამათ გააკეთეს პროგნოზი იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

პალესტინის ავტონომიისა და ისრაელის სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის დათქმული გახლდათ ცხრა თვე, აშშ წარმომადგენლის მარტინ ინდიკის შემწეობით თათბირობდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ მოლაპარაკებების ვადა კიდევ ცხრა თვე გაგრძელებულიყო, მაგრამ მას შემდეგ რაც ისმაილ ხანიამ ღაზას სექტორში გამოაცხადა, რომ ხელმოწერილია შეთანხმება სამ პალესტინურ ორგანიზაციას შორის, ისრაელმა გააუქმა საღამო ხანისათვის დანიშნული შეხვედრა სამშვიდობო მოლაპარაკებისა.

რადიო „რეშეთ ბეთ“-ის ინფორმაციით, კაბინეტის სხდომაზე ასევე დაისვა საკითხი რამალის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესების თაობაზე. თუმცა, ამჯერად არ უმსჯელიათ იმაზე, თუ როგორი იქნება ეს სანქციები.ამაზე იმსჯელებენ პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ და ფინანსთა მინისტრი იაირ ლაპიდი.

სამთავრობო წრეებიდან მიღებული ინფორმაციით, სამი პალესტინური ორგანიზაციის ეს შეთანხმება და ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნა იერუსალიმისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.როგორც „ინეტ“ იუწყება, ისრაელი სულ სხვაგვარი მოვლენების მომლოდინე გახლდათ: მაჰმუდ აბასს უნდა დაეშალა ავტონომიის ინსტიტუტები და მმართველობის გასაღები ისრაელისათვის უნდა გადაეცა, მან, მაჰმუდ აბასმა კი ასეთი „სიურპრიზის“ წინაშე დააყენა ისრაელი, რისთვისაც იგი სრულიად მოუმზადებელი იყო. აღნიშნავენ, რომ ოფიციალურმა ვაშინგტონმა შეშფოთება გამოსთქვა „ფათხის“, პგო-ს და „ხამასის“ შეთანხმების გამო — „ხამასი“ აშშ-ში ტერორისტულ ორგანიზაციად არის მიჩნეული. შექმნილი სიტუაცია გაართულებს აშშ ურთიერთობას პალესტინის ავტონომიასთან და ეჭვქვეშ აყენებს აშშ დახმარების (ყოველწლიურად 500 მილიონი დოლარი) პალესტინისათვის გამოყოფას.

არიქათი: ნეთანიაჰუ სამშვიდოგო მოლაპარაკების შეწყვეტის საბაბს დაეძებდა

ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებაზე პალესტინის მხარის წარმომადგენელთა მეთაურმა საიბ არიქათმა გამოსთქვა გულისტკივილი იმის გამო,რომ ისრაელმა შეწყვიტა სამშვიდობო მოლაპარაკება. ამის საბაბი კი პგო-ს, „ხამასისა“ და „ფათხის“ შეთანხმება და ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნა გახდა.

—ადრე ნეთანიაჰუ და მისი მთავრობა პალესტინურ დაჯგუფებათა შორის წინააღმდეგობას, დაპირისპირებას საბაბად იყენებდა და უარს ამბობდა სამშვიდობო წინადადებებზე, ახლა ჩვენ შევთანხმდით და ნეთანიაჰუმ იგივე საბაბით სამშვიდობო მოლაპარაკება შეწყვიტა.

—ეს გვაძლევს ერთადერთი დასკვნის საშუალებას: ნეთანიაჰუს არ სურს მშვიდობა. ამას გარდა ისრაელმა უარი თქვა ეღიარებინა, რომ პალესტინელებმა იცხოვრონ 1967 წლის საზღვრების ფარგლებში და ეს მაშინ, როცა ჩვენ ჯერ კიდევ 26 წლის წინათ ვაღიარეთ ისრაელის სახელმწიფო.

რუსეთი მიესალმება შეთანხმებას

—„ფათხის“ „ხამასისა“ და „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ“, ხელი რომ მოაწერეს შერიგების შეთანხმებას, ეს სრულიადაც არ უნდა იყოს სამშვიდობო მოლაპარაკების ტორპედირების მიზეზი — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა ისრაელის მთავრობის კაბინეტის გადაწყვეტილებას გამო.

სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთი თანმიმდევრულად და მტკიცედ გამოდიოდა და კვლავაც გამოდის ახლო აღმოსავლეთის საკითხის სამართლიანი რეგულირებისათვის, რომელსაც ძალუძს ისრაელის და პალესტინის უსაფრთხო, მშვიდობიანი ცხოვრება.

რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში მიხ.ბოგდანოვი (რუსეთის ყოფილი ელჩი ისრაელში) ტელეფონით ესაუბრა „ხამასის“ პოლიტბიუროს მეთაურს ხალედ მაშალს. ამ საკითხთან დაკავშირებულ კომენტარებში ნათქვამია, რომ „ხალედ მაშალმა გამოსთქვა კმაყოფილება ამ შეთანხმების მიღწევის გამო, რითაც დაძლეული იქნა განხეთქილება პალესტინელებს შორის.“

რუსეთის სპეციალურმა წარმომადგენელმა თავის მხრივ ხაზი გაუსვა იმას, რომ პალესტინურ დაჯგუფებათა „შეთანხმება და ერთიანობის აღდგენა პასუხობს პალესტინელი ხალხის ინტერესებს და იგი ხელს შეუწყობს საერთაშორისო არენაზე პალესტინის საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

გიორგი კოჩობაშვილი — „ნაალეს“ მოსწავლე

ჩვენი სტუმარია „ნაალეს“ პროექტის ერთ-ერთი გამარჯვებული, გიორგი კოჩობაშვილი. იგი სწავლას განაგრძობს ისრაელში, ქალაქ ზიხრონ იაკოვის მეიერ შფეიას დასახლებულ პუნქტში.

— გიორგი, როგორ შეიტყე ამ პროგრამის შესახებ?

— 2012 წლის 2 სექტემბერს კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ ჩატარდა სემინარი საქართველოში მცხოვრებ 13-დან 15 წლამდე ასაკის ებრაელი ბავშვებისათვის. სემინარზე ისრაელიდან ჩამოსული იყო პროგრამა „ნაალეს“ კოორდინატორი ილია დუბინსკი. ასევე გოგონა, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა 3-წლიანი პროგრამა. სწორედ აქ შევიტყე ამ პროგრამის შესახებ. იმჟამად ვსწავლობდი ილია ვეკუას სახ. საჯარო მათემატიკურ სკოლაში. მშობლების სურვილი იყო, გამეგო თუ რა მიმართულებით წავიდოდა სწავლება.

ამ პროგრამას, ისევე როგორც ისრაელის განათლების სისტემას აქვს განსხვავებული მიმართულება.

ჩვენი შერჩევა-დაკვირვება მოხდა ფსიქოლოგიური თამაშებით. 30 მოზარდიდან გამოცდაზე დაგვიშვეს — 24.

„ნაალეს“ პროგრამა მოითხოვს ზოგადი განათლების მაღალ დონეს ყველა საგანში.

ამ ტესტი-თამაშების მეშვეობით ფსიქოლოგი ავლენს თითოეული მოზარდის შესაძლებლობას დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სწავლისა.

პროგრამის აზრია ისრაელის გარეთ მცხოვრებმა ებრაელებმა იცხოვრონ ისრაელში, მიიღონ იქაური განათლება და გამოადგნენ თავიანთ ქვეყანას. ამ პროგრამაში ჩემი თავი წამყვან ადამიანად დავინახე.

— რა მეთოდით მიმდინარეობს სწავლება?

— ამ პროგრამის მიხედვით ისწავლება აუცილებელი და დამატებითი საგნები. როგორც დამატებითი, ისე აუცილებელი საგნები ფასდება ქულებით. მიღებული ქულები არ უნდა იყოს 21 ქულაზე ნაკლები. ამ შემთხვევაში გაიცემა ატესტატი უნივერსიტეტში ჩაბარების უფლების გარეშე. სასწავლო პროცესი გრძელდება დილის 8 სთ-დან 16 საათამდე, პარასკევი დღის გარდა. დამატებით საგნად არჩეული მაქვს „ხაკლაუთ“ — სოფლის მეურნეობა მეღვინეობის განხრით, ინფორმატიკა და რუსული ენა. ანუ მე შემიძლია დამატებითი საგნის, ჩემს შემთხვევაში, მეღვინეობის პრაქტიკულად შესწავლა.

ორი წლის განმავლობაში ამ საგნებში შესწავლის დონე განისაზღვრება მიღებული ნიშნების მიხედვით.

ატესტატის აღების შემდეგ ვაბარებ ტესტს უმაღლესი განათლების მისაღებად და მივდივარ ჯარში.

— რა პროფესიის არჩევას აპირებთ?

— ძირითადი პროფესია ჯერჯერობით არ ამირჩევია. მაგრამ ალბათ, ეს იქნება იურისპრუდენცია. ვიქნები მაღალჩინოსანო სამოქალაქო სექტორში.

— გმადლობ, წარმატებებს გისურვებ.

ესაუბრა მარინე ვასაძე

„ესთერიზმი“
ანუ როცა „ანკესი“ ბირთვულ იარაღზე ძლიერია

თანამედროვე მსოფლიოს გადარჩენილ ჯანსაღ ცნობიერებაში უკვე სრულიად მკაფიოდ გამოიკვეთა და დადგინდა აზრი, რომ თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების მიმდინარე პროცესებში, რომელთაც უკვე საკმაოდ გავრცელებული ცოდნით „მსოფლიოს საიდუმლო მანქანა“ მართავს, საჭირო პიროვნებებისა თუ მასების გამოსათაყვანებლად და შემდგომ გამოთაყვანებულის გასანადგურებლად, მთავარი იარაღია ანკესზე წამოგების, ანუ ინფორმაციულ მახეში გაბმის, საპირისპირო მხარის მოტყუების სტრატეგია; რომ თვით 21-ე საუკუნის ტექნიკური აღმოჩენების აპოგეაში „ანკესზე წამოგების ტექნოლოგიაა“ უფრო ეფექტური, ვინემ ბირთვული იარაღის სამხედრო ძალა. პიროვნებისა თუ ხალხის „ანკესზე წამოგების ტექნოლოგიით“ შესაძლებელი ხდება, შენმა მოწინააღმდეგემ თავისივე ხელით აღასრულოს თავის თავზე ის დარტყმა, რომელიც შენ უნდა მიგვეყენებინა მისთვის უფრო დიდი ძალისხმევის მოხმობით. ცხადია, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანასაც სჭირდება დიდი მუშაობა და არც ეს არის იოლი, მაგრამ ამის უნარსა და ხელოვნებას პიროვნებაც და ხალხიც ღვთისგან უნდა ფლობდეს. და მართლაც, თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის დასამყარებლად ანკესზე წამოგებულ ჭიაყელებად არ არიან (?) გამოყენებულნი მორალურ-პოლიტიკური იდეები: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაც და სახელმწიფოებრივი გაერთიანებისაც? გაერთიანებულნი დავშალოთ დამოუკიდებლებად, ხოლო დამოუკიდებლებს გაერთიანებისკენ მოვუწოდოთ – ასე გამოიყურება დღეს მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნება.

ცხოვრების გზის სწავლების ყველა სხვა ხერხთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ბიბლია, უფრო ზუსტად, პირველი ნაწილი ბიბლიისა, „ძველი აღთქმა“, კაცობრიობის წმინდა წიგნად აღიარებული დიდი თხზულება ებრაელი ხალხისა, მოწინააღმდეგე მხარის „ანკესზე წამოგების“ ამ უნარის გამოწრთობისა და ამ „ტექნოლოგიის“, ანუ ამ ხელოვნების ფლობის სახელმძღვანელოც არის. ამ „ტექნოლოგიის“ ფლობისა და გამოვლენის ბრწყინვალე ნიმუშია ბიბლიის ერთ-ერთი კანონიკური წიგნით, „ესთერის წიგნით“ გადმოცემული ამბავი, ებრაელი ხალხის ეროვნულ გმირად აღიარებული ქალისა – ესთერის. თავად ის ფაქტიც, რომ ებრაული დღესასწაული „ესთერობა“, ანუ „პურიმი“, ისე შეახვიო თავის ტრანსფორმირებულ სახეში, ზოგადად ქალის ღირსების დაცვის სახეში, რომ ესთერი აქციო ქალობის იდეად, ხოლო „ესთერობა“ ქალთა ღირსების დაცვის მსოფლიო ხალხების დღესასწაულად, 8 მარტის ქალთა საერთაშორისო დღედ გამოცხადება, მეტყველებს იმაზედ, რომ ებრაული ჭკუა-გონების საკუთრივი მახასიათებელი სწორედ ის თვისობრიობაა, რომელსაც შეუძლია ადამიანური უნარი ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედებისა და მიზანდასახული მიმართულებით წარმართვისა აიყვანოს მსოფლიოს დაპყრობის „ტექნოლოგიური ხელოვნების“ ხარისხში, აიყვანოს და იმდენად ცხადყოს, რომ ამ გზით კაცობრიობის ყველაზე თავზარდამცემი ბირთვული იარაღის ძალაც გადაფაროს.

„წიგნი ესთერისა“ ანკესზე მოწინააღმდეგის წამოგების ერთი კონკრეტული ამბავია, რომელიც მძაფრად აჩვენებს ებრაელი ხალხის გარე სამყაროსთან და სხვა ქვეყნების ადამიანებთან მიმართების სპეციფიკას, ადამიანებთან და ხალხებთან მიმართების მორალურ კრედოს. ცხადია, ამგვარი შეფასება ბიბლიური გმირისა აყენებს მისი ტიპურობისა და იმ ხალხის მორალურ-ფსიქოლოგიური პრინციპების საკითხსაც, რომლის წარმომადგენელიც იგი არის.

როგორც ვიცით, ებრაელმა ხალხმა თავისი დიდი მოწამებრივი ცხოვრების გზაზე ორი დიდი ტყვეობა გამოიარა: ეგვიპტური და ბაბილონური. ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ უფალმა დააბინავა ებრაელი ხალხი აღთქმულ მიწაზე. აღუთქვა უფალმა, ღმერთმა ისრაელისამ ებრაელებს: თუ ერთგულნი იქნებით ჩემი, იქ, აღთქმულ მიწაზე დამკვიდრებულ ხალხებს ავყრი და ხელში ჩაგაგდებინებთო მთელს მათ ქონებასა და სიმდიდრესო. ძალზედ საინტერესოა ძველი აღთქმით გადმოცემული ისრაელიანთა ღმერთის დიდაქტიკური პრინციპები, ის ღვთაებრივი სამართალი და მორალი, რომელიც გაცხადებულია ებრაელი ხალხის დიდი წინასწარმეტყველისა და წინამძღოლის, მოსეს პირით:

„როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის გამო ეფიცებოდა აბრაამს, ისაკს და იაკობს, რომ შენ მოგცემდა დიდი და მშვენიერი ქალაქებითურთ, რომლებიც შენ არ აგიშენებია, ყოველნაირი დოვლათით ავსებული სახლებითურთ, რომლებიც შენ არ აგივსია, ამოთხრილი ჭებითურთ, რომლებიც შენ არ ამოგითხრია, ვენახებითა და ზეთისხილის ბაღებით, რომლებიც შენ არ გაგიშენებია და შენც შეჭამ და გაძღები, ფრთხილად იყავი, რომ არ დაგავიწყდეს უფალი, რომელმაც შენ გამოგიყვანა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან“(2რჯ. 6,11-12).

„როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ, და მოგაშორებს მრავალრიცხოვან ხალხებს: ხეთელებს, გირგაშელებს, ამორეველებს, ქანაანელებს, ფერიზელებს, ხივიელებს და იებუსელებს – შვიდ ხალხს, შენზე მრავალრიცხოვანსა და ძლიერს, ხელში ჩაგაგდებინებს და შენც დაარისხებ მათ, დაარისხე ისინი (შეწირე უფალს. – დ.ს.), არ შეკრა მათთან კავშირი და არც დაინდო!“ (2რჯ. 7,1-2). „შენ შთანთქავ ყველა ხალხს, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი!“(2რჯ. 6,16).

მოხმობილი ფრაგმენტები ნათლად აჩვენებს ეპოქალურსა და მორალურ-ფსიქოლოგიურ პრინციპებს ღვთაებრივი სამართლიანობის ეროვნული კლასიკური გაგებისას,. ამასთან უფლის რჩეული ერის ეროვნული კლასიკური გაგების. სამართლიანობის ამგვარი გაგებით არიან გამოსულნი ისრაელიანები ოთხასწლოვანი ეგვიპტური ტყვეობიდან. და უფალს, რომელმაც ისინი გამოიყვანა ეგვიპტური მონობის სახლიდან და დაასახლა აღთქმულ მიწაზე თავისი ცხოვრების ოქროს ხანით, ისრაელიანები უგებენ გრანდიოზულსა და არქიტექტურული მშვენიერებით განთქმულ ტაძარს, „ტაძარს სოლომონისას“, ისრაელის ორი დიდი მეფისა, დავით წინასწარმეტყველისა და მისი ვაჟის, სოლომონ ბრძენისა და თავად უფლის, იაჰვეს წყალობით შექმნილს. მიუხედავად ამ დიდი გამარჯვებისა და თავისი არსებობის ოქროს ხანის შექმნისა, ღმერთი ისრაელისა ვერ იხსნის ებრაელ ხალხს მეორე დიდი ტყვეობისგან. სწორედ ამ მეორე ტყვეობის ისტორიას უკავშირდება ესთერის პიროვნება, როგორც განსახიერება ეროვნული გმირული სულისა.

როგორც ბიბლიის მკვლევარები აღნიშნავენ, ესთერის წიგნში ძველი წელთაღრიცხვის მე-5-ე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული სინამდვილეა ასახული და მიეკუთვნება იმ წიგნებს, რომლებიც გადმოსცემენ ებრაელი ხალხის ცხოვრებას მას შემდეგ, რაც ბაბილონელებმა დაარბიეს იერუსალიმი, დაანგრიეს სოლომონის ტაძარი, ტყვედ აიყვანეს მთელი ებრაელი ხალხი და წაასხეს ბაბილონში. ესთერის წიგნში გადმოცემულია პერიოდი, როცა ბაბილონის ტყვეობიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა იერუსალიმში ეზრა – ებრაელთა დიდი წინასწარმეტყველი და განმანათლებელი, როდესაც ბაბილონის ტყვეობიდან სპარსეთში არიან ისრაელიანები გახიზნულნი და ერთ-ერთი ხიზანი ისრაელიანებისა, ლამაზი ტყვე ქალი, ესთერი, სპარსეთის უდიდესი სამეფოს დედოფალი ხდება.

ესთერი ტიპიური სახეა ებრაელი ქალისა. მას ერთ-ერთი შესანიშნავი წინამორბედი ჰყავს ებრაელი ►►

►► ხალხის ეროვნული გმირი ქალის, იაყელის სახით, რომელიც ესთერთან ერთად უსათუოდ აჩვენებს შემაშინებელ ძლიერებას ებრაელი ქალისას.

აღთქმულ მიწაზე დაბინავებული ებრაელები სისხლისმღვრელი ომით უპირისპირდებიან აღთქმული მიწის ადგილობრივ მკვიდრებს – ქანაანელებს. ბრძოლაში ქანაანელები მარცხდებიან. ქანაანელთა სარდალი, სისარა, რომელსაც მთელი ეტლიონი გაუნადგურეს, ბრძოლის ველიდან გარბის და გეზს ებრაელი ქალის, იაყელის, ხებერ კენიელის ცოლის კარვისკენ იღებს, რადგან ქანაანის მეფესა და იაყელის სახლეულობას შორის მშვიდობა ეგულება. ასე იყო ომამდე. სისარამ იცის, რომ ებრაელთა სარდალი, რომელმაც ეტლიონი გაუნადგურა, უკან მოსდევს... მაგრამ ქანაანელი სისარა მიაღწევს მახლობელი ებრაელების კარავს:

„გამოეგება იაყელი სისარას და უთხრა: – მობრძანდი, ბატონო, შემობრძანდი ჩემთან, შიში ნურაფრის გექნება – შეიყვანა კარავში და ხალქვეშ დამალა. უთხრა სისარამ: ცოტა წყალი მომიტანე და დამალევინე, რადგან მწყურია. გაუხსნა ქალმა რძით სავსე ტიკი, დაალევინა და ისევ წააფარა ხალი. უთხრა სისარამ: – კარვის კართან დადექი, თუ ვინმემ ჩამოიაროს და გკითხოს, ვინმე ხომ არ არისო მანდ, მიუგე, არა-თქო. იაყელმა, ხებერის ცოლმა აიღო კარვის პალო, ხელში ურო დაიკავა, ფეხაკრეფით მიეპარა სისარას და ისე ჩაურჭო პალო საფეთქელში, რომ მიწას დააჭედა. მას კი (სისარას), დაღლილ-დაქანცულს ჩასძინებოდა და მოკვდა“ (მსაჯ. 4,18-21).

იაყელის ხელით ქანაანელთა სარდლის – სისარას საშინელი განგმირვის ეპიზოდი ეროვნული ჰიმნის, ტრიუმფალური საგალობლის სიუჟეტი ხდება. ისრაელიანთა სახელგანთქმული მსაჯული-ქალი, წინასწარმეტყველი დებორა და ებრაელთა სარდალი ბარაკი, რომელსაც იაყელმა წაართვა სისარას განგმირვის ბედნიერება, ერთად აღავლენენ გალობას ებრაელთა ღმერთის, იაჰვესადმი:

„ისმინეთ, მეფენო, ყური მომაპყარით, მთავარნო: ეს მე ვარ, მე ვუგალობ უფალს, მე ვუმღერი უფალს, ისრაელის ღმერთს... კურთხეულ იყოს იაყელი, დიაცთა შორის, ხებერ კენიელის ცოლი! კარავში მცხოვრებ დიაცთა შორის კურთხეულ იყოს!..

წყალი მოსთხოვა და რძე მიართვა, სეფეთასით მიართვა მოუხდელი რძე.

მარცხენა ხელით პალოს დასწვდა, მარჯვენით ურო. მოუქნია სისარას, თავში დაჰკრა, გაუპო, საფეთქელი შეულეწა...

სარკმლიდან იყურება, კანკლედიდან გაჰკივის სისარას დედა: რატომ იგვიანებს მისი მხედრობა, რამ შეაფერხა სისარას ეტლის თვლები?!..“ (მსაჯ.5,3-5, 24-26, 5,28).

ეს შემზარავი სიუჟეტი იაყელისა და სისარას „სტუმარ-მასპინძლობისა“, რომელსაც უმღერის ებრაელი ხალხი, ჩემს ხედვაში პირდაპირ ალტერნატიულ ასოციაციას იწვევს ქართული ხალხური სიმღერის სახით შემონახულ ერთ ლეგენდარულ ამბავზე, რომელიც წმინდა ქართული და წმინდა ქრისტიანული ფსიქოლოგიისა და მორალის უჩვეულო გამოვლინებაა. და საერთოდ, ამ ლეგენდარული ამბით, ალბათ, დაბეჯითებით შეიძლება ისიც ითქვას, რომ რაც წმინდა ქართულია, წმინდა ქრისტიანულიც არის. მხედველობაში გვაქვს მოხევურ ფოლკლორში სიმღერად შემონახული ლექსი ხევში სახელგანთქმული და-ძმისა: შიოლა ღუდუშაურისა და მისი დის. შიოლა მოკლეს და მკვლელს შურისმაძიებლები დაედევნენ. მახლობელ სოფელში თავშესაფრის მაძიებელი მკვლელი უცნობის სახლში შევარდება და თავშესაფარს სთხოვს მასპინძელ ქალს, რომელიც, აღმოჩნდება, რომ მოკლულის დაა. ქალი ძმისმკვლელს ვეღარ გაწირავს, რადგან მან უკვე შეაფარა თავი მოკლულის დის ჭერქვეშ და ღვთისგან თუ ბედისწერის ქარტეხილისგან სტუმარ-მასპინძლის რეალობა შექმნა. შიოლას და ახლა უკვე მასპინძელია და ღვთისა და საკუთარი ჭერის ღირსება უნდა დაიცვას პირველ რიგში. იგი მანდილს დააგებს კარის ზღურბლზე, რითიც თავისიანებს შურისძიებას აუკრძალავს. და, როცა შურისმაძიებლები, მის კართან შემდრკალნი, იძულებულნი გახდებიან, უკან დაიხიონ, შორიდან ნასროლი ისრით ფანჯრიდან შეაღწევენ ჭერქვეშ და მოკლავენ მკვლელს. შეურაცხყოფილი შიოლა ღუდუშაურის და ახლა უკვე ორმაგად არის ჭირისუფალი და მგლოვიარე . და, როგორც შეურაცხყოფილი თავისიანთაგან, იგი უარს იტყვის მათთან ერთად ძმის დატირებაზე : არ წავა სატირალში, მარტოკა დაიტირებს და მარტო იგლოვს... მდინარის პირას... სტუმარსაც და ძმასაც. იაყელისა და შიოლას დის, ამ ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ქალის ფსიქოლოგიითა და მორალით ორი სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიისა და მორალის ხალხი იხატება ჩვენს თვალწინ. ფსიქოლოგია და მორალი დაუნდობლობისა და ფსიქოლოგია და მორალი დანდობისა და მტრის სიყვარულის.

ბიბლიური გმირი ქალის, იაყელის ფსიქოლოგიური და მორალური განგრძობაა ახალი ბიბლიური გმირი ქალი, ესთერი, რომელიც სპარსეთის მეფის ცთუნებით სპარსეთის დედოფალი ხდება. თუმცა ამ მაცთუნებელი სიცრუით ის მარტო არ არის. ის სასახლეში შეგზავნილი დედოფალია იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში, დაიცვას ებრაელთა ინტერესები სპარსეთში. შემგზავნი არის ესთერის ბიძაშვილი, სახელად მარდუქაი, რომელიც მუდმივი კონსულტანტია ესთერისა. საქმე გვაქვს მაცთუნებლობის მთელ მექანიზმთან, რომელსაც ორი პიროვნება მართავს: მარდუქაი და ესთერი...

სპარსეთის უზარმაზარი სამეფოს მმართველი იყო მეფე ახაშვეროში. ინდოეთიდან ქუშამდე იყო გადაჭიმული მისი სამფლობელო, 127 პროვინციისგან შემდგარი. თავისი მეფობის მესამე წელს მეფე ახაშვეროშმა დიდი ნადიმი გადაიხადა, მოიწვია თავისი მთავრები, სპარსელთა და მიდიელთა სარდლები, მორჩილნი და მხარეთა განმგებელნი. შვიდ დღეს მიდიოდა ნადიმი სასახლის ბაღში. თავი მოიწონა მეფემ თავისი სამეფოს სიმდიდრითა და ბრწყინვალებით : „მრავალფერი ქსოვილები ეკიდა ბისონისა და ძოწის ძაფებით ვერცხლის რგოლებზე და მარმარილოს სვეტებზე. ოქროსა და ვერცხლის საწოლები იდგა ალებასტრით, მარმარილოთი, სადაფითა და შავი მარმარილოთი მოფენილ იატაკზე. სასმელს ოქროს სასმისებით სვამდნენ, მრავალფერი სასმისებით. უხვად იყო სამეფო ღვინო, მეფეთა საკადრისი. ვაშთი დედოფალმაც გადაიხადა ლხინი ბანოვანთათვის მეფე ახაშვეროშის ერთერთ სასახლეში. მეშვიდე დღეს მეფემ თავისი ულამაზესი დედოფლის მშვენიერებით თავმოწონება მოინადინა და შვიდი მომსახურე საჭურისი გაგზავნა ვაშთი დედოფლის მოსაყვანად... დედოფალმა ბრძანება იუკადრისა და უარი შეუთვალა მეფეს. ვაშთი დედოფალმა დედოფლობა დაკარგა. მეფის მხლებლები მეფის დავალებით ახალი დედოფლის კანდიდატურის ძებნას შეუდგნენ.

მარდოქაის მცდელობითა და დარიგებებით ესთერმა, დამალა რა თავისი ებრაელობა, ვაშთი დედოფლის ადგილი დაიკავა. მარდოქაის სამსახურად კი იქცა დღენიადაგ დგომა სასახლის კარიბჭესთან, ინფორმაციის მოკრება და შეგზავნა მეფესთან შესატანად ესთერის გზით. იუდეველმა მარდოქაიმ, რომელიც წარმომავლობით ბენიამინის შტოდან იყო და ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იუდას მეფესთან, იექონიასთან ერთად იყო ბაბილონში გადასახლებული. სპარსეთში გადმოხიზნებით, სასახლის კარიბჭესთან დღენიადაგ დგომით სპარსეთის მეფის მთავარი ინფორმატორის ადგილი მოიპოვა. სასახლეში არავინ არ იცის, რომ ესთერი იუდეველია. მარდუქაიმ კი სასახლის კარიბჭესთან აფიშირება მოახდინა თავისი იუდეველობის, რითიც უფრო მეტად შენიღბა ესთერის ვინაობა და როდესაც მეფე ახაშვეროშმა ყველა მთავარს შორის გამოარჩია და როგორც ყველაზე ერთგულსა და ღირსეულს, ჰამანს“, დაუდგა სავარძელი ყველა მთავარზე მაღლა, ვინც კი ჰყავდა“, სასახლის კარიბჭესთან, მარდუქაი შეუდგა ჰამანისადმი უპატივცემულობის საგანგებო დემონსტრაციას და ჰამანს იუდეველთადმი სიძულვილი ხელოვნურად მოახვია თავს. ნელ-ნელა ესთერის გზით მარდოქაიმ შესძლო განხეთქილების ჩამოგდება სპარსეთის მეფესა და მის რჩეულ მთავარს შორის და, ბოლოს და ბოლოს, იქამდე გამოათაყვანა მეფე ახაშვეროში ესთერის მეშვეობით, რომ ეს ყველაზე რჩეული და ერთგული ჰამანი სახრჩობელაზე ჩამოაკიდებინა. სახრჩობელაზე ჩამოაკიდებინა მერე ჰამანის ათი ვაჟი, ხოლო ისტორიული სტატისტიკით, გარდა ამ განწირული მთავრის ოჯახისა, ესთერის თხოვნით 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) კაცისთვის მიუსჯია სიკვდილი სახრჩობელით და ეს ისეთი რიცხვია, რომელიც ესთერს, იაყელის მორალურ მემკვიდრეს, ნებისმიერ დროს აპოვნინებს კარვის პალოსაც და ურაოსაც, თუ კი ეს თავისი ხალხისთვის დასჭირდა, თავად მეფე ახაშვეროშის მიწაზე დასაჭედად. ესთერის ბიბლიური წიგნით ჰამანის ჩამოხრჩობის შემდეგ, ესთერის თხოვნით, სპარსეთის მეფე ახაშვეროშმა სპარსეთში შეხიზნული ყველა ებრაელის ხელშეუხებლობა ბრძანა, ხოლო ჰამანის სავარძელზე, რომელიც დაუდგა მან ჰამანს „ყველა მთავარზე მაღლა, ვინც კი ჰყავდა“ მარდუქაი დასვა. ამრიგად, მარდუქაი-ესთერის ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ სპარსეთის ამ უდიდესი სამეფოს მმართველს მთავარი საყრდენის, ჰამანის ჩამოცილებით შეუქმნა ახალი საყრდენი, რომლითაც სპარსეთის მეფე მთლიანად დამოკიდებული გახადა სასახლის კარიბჭესთან მდგომ მარდუქაიზე და ბაბილონიდან შემოხიზნული ებრაული ეროვნული უმცირესობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაზე...

ერთ-ერთი ქართველი ებრაელი, ცნობილი პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ებრაელების ისტორიულ დამსახურებად გადმოგვცემს თამარ მეფის დაქორწინებას გიორგი რუსზე, იმ ქართველი ებრაელების, რომლებიც საქართველოს სამეფო კარზე დაწინაურებულნი იყვნენ და შესაძლებლობა ჰქონდათ, გავლენა მოეხდინათ სამეფო კარის ცხოვრებაზე... ჩვენს მიერ ბიბლიური „ესთერის წიგნისა“ და ესთერისა და მარდუქაის პიროვნული ფენომენის გადმოცემის შემდეგ, ნათლად წარმოსადგენი ხდება, თუ რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო მეფე თამარი, რომ უწესო გიორგი რუსიც აელაგმა და ყოველგვარი მცდელობანიც მისი ძალაუფლების შეზღუდვისა ებრაული წარმომავლობის მოხელეთაგან, აელაგმა ყოველგვარი სახრჩობელების გარეშე, უმაღლესი ადამიანური ზნეობითა და სათნოებით.

ებრაელმა ხალხმა ესთერის, როგორც ეროვნული გმირის უკვდავსაყოფად მისი ხსენების დღესასწაული დააწესა „პურიმის“(„წილისყრის დღე“) სახელწოდებით, რომელსაც ებრაელები დღემდე დღესასწაულობენ. დღეისთვის მსოფლიო მეცნიერებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში ებრაელ მასონთა დიდი მონაწილეობით იქნა მომზადებული. – „კაპიტალიზმშიცა და სოციალიზმშიც წამყვან ძალას წარმოადგენენ ებრაელები“ – წერს ჯორჯ სოროსი. დღევანდელი მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ გაცნობიერებულია, რომ ჩვენი დღევანდელი მსოფლიოს ცივილურ ისტორიაში რევოლუციებს ებრაელები მართავენ, მაგრამ ცხოვრება ამ რევოლუციებს თავის საკუთარ სახეს აძლევს და ებრაული გონი, მსოფლიო მმართველობაზე მეოცნებე, იძულებული ხდება ჩვენი ცივილიზაციის მთელ მანძილზე უწყვეტი მონიტორინგით იყოს მიმართული მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე და უწყვეტი სულისკვეთებით ეწეოდეს კაცობრიული ცნობიერების ინტეგრაციას – ან ღიად, ან ფარულად – ებრაულ ღირებულებებზე. ცხოვრებამ და ისტორიამ იგი, ებრაული გონი, გამოაწრთო შენიღბული არსებობისთვის. მან შეიმუშავა უნარი, მშვიდობიანად შეფუთოს თავისი სხეულებრივი ყოფიერება სხვა ქვეყნის სხეულებრივ ყოფიერებაში, თავისი სულიერი ინდივიდუალობა – სხვა ხალხის სულიერ ინდივიდუალობაში, თავისი რელიგიური ინდივიდუალობა – სხვა რელიგიების სამოსში. როდესაც კოპენჰაგენში ქალთა საერთაშორისო დღე ლენინის მეგობარი ქალის, კლარა ცეტკინის ინიციატივით დაწესდა, შემთხვევითი არ იყო, რომ იგი – ქალთა საერთაშორისო დღე პურიმის დღესასწაულის პირველი აღნიშვნის დღეზე თანხვედრილი აღმოჩნდა. ესთერისა და იაყელის გენეტიკური წარმომავლობის ქალბატონმა თავისი ქვეყნისა და თავისი წინაპრებისადმი სიყვარულით ისიც შეძლო , რომ პურიმის იდეა დროისა და ეპოქის შესაბამის ახალ იდეაში შეეფუთა და მსოფლიოს ქალები პურიმის დღესასწაულზე ეხმო. მილიონობით ქალს ამ დღეს მილიონობით მამაკაცი ულოცავს, მაგრამ გაცნობიერებული არა აქვს, რომ ამ დღესასწაულით იგი ებრაული პურიმის დღესასწაულსაც უერთდება...

დენიზა სუმბაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი , პროფესორი.

თემის გაგრძელება ►►►

პოლემიკა

გურამ გათიაშვილი

„ესთერიზმი“ თუ დენიზაიზმი?

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დენიზა სუმბაძის სტატიები ადრეც წამიკითხავს, ამჯერად კი „ლიტერატურულ საქართველოში“ (13, 4 აპრილი, 2014 წ.) სხვა ავტორებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება (ე. კვიტაიშვილი, თ. ბიბილური, გ. ხარაბაძე, შ. ზოიძე, თ. კვაჭანტირაძე, ი. ბაბელი) და დ. სუმბაძის სტატიას „ესთერიზმი, “ანუ როცა „ანკესი“ ბირთვულ იარაღზე ძლიერია“ გვერდი ავუარე, მაგრამ რამდენიმე კოლეგისა და მეგობრის სატელეფონო ზარის შემდეგ „წაიკითხე ერთი, ვგონებ, არასწორად მსჯელობის, “ გაზეთს მივუბრუნდი.

დ. სუმბაძე წერილის დასაწყისში ერთობ საჭოჭმანო მოსაზრებას გამოთქვამს: „თანამედროვე მსოფლიოს გადარჩენილ ჯანსაღ ცნობიერებაში უკვე სრულიად მკაფიოდ გამოიკვეთა და დადგინდა აზრი, რომ თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების მიმდინარე პროცესებში, რომელთაც უკვე საკმაოდ გავრცელებული ცოდნით „მსოფლიოს საიდუმლო მანქანა“ მართავს, საჭირო პიროვნებისა, თუ მასების გამოსათაყვანებლად და შემდგომ გამოთაყვანებულის გასანადგურებლად, მთავარი იარაღია ანკესზე წამოგების, ანუ ინფორმაციულ მახეში გაბმის, საპირისპირო მხარის მოტყუების სტრატეგია“.

როგორც კი წავიკითხე ფრაზა „მსოფლიოს საიდუმლო მანქანა, “ ვიგრძენი, თუ საით მიეშურებოდა ავტორი და ორი-სამი აბზაცის შემდეგ ებრაელებს მიადგებოდა. ამის თაობაზე არაერთგზის ნაგვიკითხავს—არიან ადამიანები ამ „მსოფლიოს საიდუმლო მანქანით“ კარგა ხანია რომ გვაფრთხობენ. ეს უკვე ნაცნობი თარგია: იწყებენ ყბადაღებული „საიდუმლო მანქანებით“ და მიადგებიან ებრაელობას, რომლებიც თუ ამ მანქანის საჭეს არ ჩაფრენიან, იქვე მაინც ტრიალებენ. ასეთი ტექსტების კითხვისას მსოფლიო სახელის მქონე თეოლოგის — ადინ შტაინზალცის ერთი ხუმრობა მაგონდება: იგი ამბობს, ძალიან მსიამოვნებსო ანტისემიტების მოსმენა. მათგან ყოველთვის სასიამოვნო ინფორმაციას ვიღებ. გაიძახიან: მსოფლიოს ფინანსები ებრაელთა ხელშია, დღევანდელ მსოფლიოს ებრაელები მართავენ, ფარული ებრაული ლობი გახლავთ წარმმართველი ყველა მნიშვნელოვანი პროცესისაო. ყველაფერი ამის მოსმენა გულს მალამოდ ედება. აი, ებრაელთა მოსმენა კი არ მსიამოვნებს. რაზე ლაპარაკობენ ისინი? „ანტისემიტები გვაწიოკებენ!“, „გუშინ რაბი ქუჩაში სცემეს“, „ევროპაში მუსლიმები მომრავლდნენ და ანტისემიტიზმი გაიზარდა“, „ჩვენი სკოლა იხურება, ფული არა გვაქვს!“ და ა.შ.

ზემოთ ვთქვი, ავტორი საჭოჭმანო მოსაზრებას გამოსთქვამს-მეთქი. ეს ფიქრი კიდევ უფრო გამიძლიერა მომდევნო აბზაცმა: „და მართლაც, თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის დასამყარებლად ანკესზე წამოგებულ ჭიაყელებად არ არიან გამოყენებულნი მორალურ-პოლიტიკური იდეები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაც და სახელმწიფოებრივი გაერთიანებისაც? გაერთიანებულნი დავშალოთ დამოუკიდებლებად, ხოლო დამოუკიდებლებს გაერთიანებისაკენ მოვუწოდოთ“ დ.სუმბაძის ეს თეზა უარყოფს ხალხთა მისწრაფებას იცხოვრონ დამოუკიდებელ, თავისთავად სახელმწიფოებად, რომელიც სულმნათმა ილიამ დიდებულ მცნებად ჩამოაყალიბა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“.

მე მქონდა ბედნიერება 1991 წელს 9 აპრილს, როცა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, უზენაესი საბჭოს დარბაზში ვყოფილიყავი, როგორც საპატიო სტუმარი. ადამიანები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას ტაშს უკრავდნენ, მერე კი დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერდნენ, არა „ანკესზე წამოგებულ ჭიაყელებად, “ უძლეველ მხედრებად მესახებოდნენ. თავადაც ბედნიერ ადამიანად მივიჩნევდი თავს ამ აქტის შემსწრე რომ გავხდი.

ქ-ნ დენიზას უკეთ მოეხსენება, მაგრამ როგორც არ უნდა განმარტოს ეს მოსაზრება, რა კომენტარიც არ უნდა გააკეთოს, მე მაინც დიდი ილიას მცნების მოთაყვანედ ვიგულვებ თავს: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“. დიახ, გვეყუდნოდეს ჩვენი თავი ჩვენადვე და მერე ვისთან იმეგობრებს ქვეყანა, ვისი მეტი სიყვარული ექნება და ვისი —ნაკლები, ეს მისი გადასაწყვეტია და არა სხვათა. ევროპის სუვერენული სახელმწიფოები იმის გამო რომ ერთ კავშირში გაერთიანდნენ, რაღაც არ გვანან „ანკესზე წამოგებულ ჭიაყელებს“.

ზემოთ ხსენებულ საკითხებს არ გამოვუდგები— ჩემი ფიქრის, წუხილის საგანი სულ სხვა რამ გახლავთ და სწორედ ეს მინდა შევჩივლო მკითხველს: ნუთუ, ამაოდ დავმშვრალვართ ისინი, ვისაც ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე გვიწერია, ნუთუ, ეს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენს მიერ შეთხზული მითია და ქართველთა და ებრაელთა ესოდენ საამაყო მრავალსაუკუნოვან ნათელ მეგობრობაზე საუბარი, წერა დ. სუმბაძის აღნიშნული სტატიის, თუ სხვა პუბლიკაციების იჭვის, განქიქების გლუვ ნაპირებს ეხეთქება? მრავალ ქართველ, ებრაელ მეცნიერს, შემოქმედს, მე — თქვენს მონა-მორჩილს, ადრეულ წლებში, თუ ჩვენს დროში, გვიწერია ამ საკითხზე. საამაყოდ გვქონდა, გვაქვს, რომ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც არ შეჰყრია იუდოფობიის სამარცხვინო, ერის დამაკნინებელი სენი და დღეს, ჩვენს დროში, ებრაელობის განმაქიქებელი ესოდენ მოხშირებული პუბლიკაციებით, ქმედებებით ამ სიამაყის უფლებასაც გვართმევენ? რა ვიფიქროთ: ვიდრე საბჭოთა ცენზურა კრძალავდა, სიმშვიდე იყო, დამოუკიდებლობამ, თავისთავადობამ აღვირი გაგვაწყვეტინა და იმის თქმის საშუალება მოგვცა, რასაც გულით ვატარებდით?

...ახალგაზრდები ამასხარავებენ, დასცინიან ფაშისტების ჯურღმულებში გაზით გაგუდულ, მოკვდინებულ ებრაელობას — მინისტრი ამას ტაშს უკრავს, გულიანი სიცილითა და ტაშით აჯილდოებს უსაზიზღრეს „ხუმრობას“, მერე ტელევიზია გადაღებულ მასალას ამონტაჟებს, მასალა გადის რედაქტურას და არავის აზრად არ მოსდის რომ ეს საძაგლობა ამოჭრას, ხალხს არ აჩვენოს. არ ნიშნავს ეს იმას, რომ „ხუმრობასაც“ ეთანხმებიან და ტაშისცემასაც უერთდებიან?

...ადამიანები ხანუქის სანთლის ამნთებ პრეზიდენტს ისე შესძახიან „შეჩერდი!“ „რას აკეთებ!“ თითქოს კეთროვანს ეხვეოდეს. ამ საბრალოთ ისიც კი არ უწყიან, ის, ვის მიმდევრებადაც თავს აცხადებენ, 13 წლის ასაკიდან სისტემატურად ანთებდა ხანუქის სანთელს. ისინი რომ ჭეშმარიტი მორწმუნენი და რწმენის ისტორიის, საფუძვლების ღრმა მცოდნენი იყვნენ, ცხადია, ასე არ მოიქცევიან.

...ერთობ პოპულარული გაზეთი ნომრიდან ნომერში თვეობით ბეჭდავს რუსი ანტისემიტის ოპუსს და მკითხველს წამლავს.

...მავანი მწერალი გაზეთის ფურცლებზე ებრაელობის მიმართ ისეთ რასისტულ განცხადებას აკეთებს, თავი 30-იანი წლების გერმანიაში გეგონება და ამ დროს თურმე ჩვენ პირში წყალი უნდა ჩავიგუბოთ, არ უნდა დავიცვათ არც საქართველოს და არც ებრაელთა ღირსება. და თუ ხმას აიმაღლებ, ერთი ვინმე კომენტატორი მთელ საქართველოს მოირბენს, ხალხს ლამის ოჯახებში შეუყაროს გაზეთი, რომელსაც მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს: მკითხველი დაარწმუნოს, რომ ბათიაშვილი ქვეყნის მოღალატეა, საქართველოს ანტისემიტიზმში დებს ბრალს, აი, მე კი მას ვებრძვი, საქართველოს ვიცავო.

საქართველოში რომ ანტისემიტიზმი არ არის, ამ ქვეყანას, ხალხს რომ ეს სენი არ გაჰკარებია, არა ვიწრო, მეგობრული წრეში, ყანწით ხელში, არამედ მაღალ საერთაშორისო ებრაულ ტრიბუნაზე არაერთგზის მითქვამს —იქნებოდა ეს იერუსალიმსა თუ ნიუ იორკში, ვაშინგტონსა, თუ მოსკოვში, ბერლინსა თუ პარიზში. მაგრამ ჩვენში, ჩვენს დღეებში რომ ასეთი პუბლიკაციები ჩნდება, ამაზე ჩვენს ოჯახურ გარემოშიც არ ვისაუბროთ? ისევე წავუყრუოთ, როგორც საქართველოს ადრინდელი, თუ დღევანდელი ხელისუფლების საქციელს: სწორედ იმას უსვამს თავზე ხელს, ვინც გაიძახის საქართველოს დამცველი ვარო და საქართველოსა და ებრაელობის ღირსებისათვის მებრძოლს ათას სიბინძურეში სდებს ბრალს?ეს კი სახელისუფლო პირთა შორს გაუხედაობის დასტურია: ჩვენ არ ვიტყვით, სხვა —უცხო, დადარაჯებული მტერი მოგვახლის ცხვირ-პირში. ჩვენი ნათქვამი საკითხის ოჯახურ გარემოში განხილვა-მოგვარება იქნება, მტრულად მომზირალისა კი—მსოფლიოს წინაშე თავის მართლების აუცილებლობა.

ზემოთ ნახსენები და კიდევ არაერთი ფაქტი ჩვენი სინამდვილის თანამდევია. ახლა კი ებრაულ კლასიკურ მემკვიდრეობას გადასწვდნენ — ებრაელობა მონსტრად, ებრაული სულიერება „ესთერიზმად“ მონათლეს. იქნებ, ძნელი ამოსაცნობი არც იყოს, თუ რატომ შეირჩა ასეთი დრო: თუ საქართველოს ებრაულ სამყაროში ამ ბოლო ხანს განვითარებულ ნეგატიურ მოვლენებს გავაანალიზებთ, სწორედ კლასიკურ მემკვიდრეობაზე — „მოსეს ხუთწიგნეულზე“, „ესთერის წიგნზე“ თავდასხმის ჟამი დამდგარა. ხვალ სხვა ღირებულებებს გადასწვდებიან.

„ესთერიზმს“ მივუბრუნდეთ. ისე როგორც ქ-ნმა დ.სუმბაძემ, პუბლიკაციის ავტორის სახელიდან გამომდინარე, მისი სჯანი მეც სათაურშივე მოვნათლე დენიზაიზმად. ამ შემთხვევაში დენიზაიზმი რას გულისხმობს? ნაწარმოების არაადეკვატურ რეალობაში გადატანას და აქედან გამომდინარე, სრულიად შეუსაბამო „მეცნიერული“ დასკვნის გამოტანას. ნაწარმოები ბოროტებაზე სიკეთის უცილობელი გამარჯვების თემაზეა, დენიზაიზმი კი მას ებრაელი ხალხის ხასიათის გამოხატულებად — მოწინააღმდეგე მხარის „ანკესზე წამოგების“ ბრწყინვალე ნიმუშად აცხადებს. და თუ ეს ასე არ არის, თუ ჩემში ემოცია ჭარბობს, რას ნიშნავს დ. სუმბაძის განცხადება: „ცხოვრების გზის სწავლების ყველა სხვა ხერხთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ბიბლია, უფრო სწორად, პირველი ნაწილი ბიბლიისა, „ძველი აღთქმა,“ კაცობრიობის წმინდა წიგნად აღიარებული დიდი თხზულება ებრაელი ხალხისა, მოწინააღმდეგე მხარის „ანკესზე წამოგების“ ამ უნარის გამოწრთობისა და ამ „ტექნოლოგიის“, ანუ ამ ხელოვნების ფლობის სახელმძღვანელოც არის.“

რა არის ეს—უცოდინარობა, უწიგნურობა? არა, ამას დ. სუმბაძეზე ნამდვილად ვერ იტყვი. ეს არის დენიზაიზმი, როცა გწადია, შავი თეთრად, თეთრი კი შავად წარმოადგინო. წიგნი კაცობრიობის მიერ წმინდა წიგნად არის აღიარებული, დენიზაიზმი კი ტექნოლოგიის სახელმძღვანელოდ გვიცხადებს. თურმე მოწინააღმდეგე მხარის ანკესზე წამოგებას გვასწავლის „დაბადება“ — ამბავი იმაზე, თუ როგორ შექმნა უზენაესმა ცა და ხმელეთი, როგორ განსახა ადამიანი, ცოდვათა მომრავლების გამო დედამიწაზე როგორ მოავლინა წარღვნა. თურმე „ანკესზე წამოგების სახელმძღვანელოც“ ყოფილა ის ორმოცი წელიწადი, რომლის განმავლობაში ერი უდაბნოში ვიდოდა.

„და ამ ტექნოლოგიის ფლობისა და გამოვლენის ბრწყინვალე ნიმუშია „ბიბლიის ერთ-ერთი კანონიკური წიგნით გადმოცემული ამბავი. ამბავი ხალხის ეროვნულ გმირად აღიარებული ქალის—ესთერის“ ეს ქ-ნ დენიზა სუმბაძის მოსაზრებაა. მე მის მოსაზრებასთან რა ხელი უნდა მქონდეს. მის მრწამსს მე რატომ, რისთვის უნდა ვეკამათო, მაგრამ როცა იგი ამ მოსაზრებას გაზეთის ფურცლებზე ასაჯაროებს, ე.ი. ცდილობს ათასობით მკითხველს თავისი ერთობ ტენდენციური მოსაზრება მოახვიოს თავს, ალბათ, მკითხველს უნდა ვუთხრათ, რომ ქ-ნი დენიზა სუმბაძე ნაწარმოების დედააზრს ცვლის, პერსონაჟთა ქმედებას დამახინჯებულად წარმოგვიდგენს და თავისი თეზის დასადასტურებლად მკითხველი შეცდომაში შეჰყავს — „ესთერის წიგნის“ არასწორ, ტენდენციურ ინტერპრეტაციას ეწევა, ეს კი სულაც არ უწყობს ხელს კლასიკური მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას (აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორ სამსახურს უწევს მრავალსაუკუნოვან ქართულ-ებრაულ ურთიერთობას). ბოლოს კი ქართველ ებრაელობას გადასწვდება და ისეთ ცოდვაში ითრევს, როგორშიც იგი ვერც ვერასოდეს ჩადგებოდა.

დიახ, დ.სუმბაძე სრულიად არასწორად, ტენდენციურად (არ მინდა ვაკადრო — იუდოფობიური ვნებით), დამახინჯებულად განიხილავს „ესთერის წიგნს.“

მივყვეთ ავტორის მსჯელობას, რაზეც იგი თავის კონცეფციას აგებს: „ესთერიზმის“ ავტორი ესთერსა და მორდეხაის ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ისინი თანამედროვე ისრაელის სპეცსამსახურის — „მოსადის“ მიერ იყვნენ შეგზავნილნი ახაშვეროშის კარზე; „ბიბლიური გმირი ქალის, იაყელის ფსიქოლოგიური და მორალური განგრძობაა ახალი ბიბლიური გმირი ქალი(?!) ესთერი, რომელიც სპარსეთის მეფის ცთუნებით სპარსეთის დედოფალი ხდება, თუმცა, ამ მაცთუნებელი სიცრუით ის მარტო არ არის. ის სასახლეში შეგზავნილი დედოფალია იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში დაიცვას ებრაელთა ინტერესები სპარსეთში“. წერს დ. სუმბაძე. ამ სტრიქონებში ჩანს, როგორ ესწრაფვის არასწორად, დამახინჯებულად წარმოადგინოს და ამ გზით დააკნინოს, გააქარწყლოს ებრაული კლასიკური მემკვიდრეობის ადგილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. ებრაელობა კი ერთგვარ მონსტრად წარმოაჩინოს.

ნუთუ, მართლა ასეა? ჩავხედოთ „ესთერის წიგნს“. აქ წერია: „და შეუყვარდა მეფეს (ახაშვეროშს.გ.ბ.) ესთერი ყველა ქალთაგან, სანდომიანობა და წყალობა ჰპოვა ყველა მის წინაშე ქალებზე მეტად და დაადგა თავზე სამეფო გვირგვინი და ვაშთის ნაცვლად გაადედოფლა“.

დ. სუმბაძის ინტერპრეტაციით მორდეხაისა და

ესთერის მაცთუნებლობა იმაში გამოიხატება, რომ დედოფლობის კასტინგზე გამოცხადებულმა ესთერმა, მორდეხაის რჩევით, თავის ეროვნებაზე არ ისაუბრა. ნუთუ, ამ მოსაზრების ავტორს არ უჩნდება კითხვა: რა უფრო მნიშვნელოვანი დეტალია: ის, რომ ესთერმა თავის ეროვნებაზე არაფერი თქვა, თუ ის, რომ „და შეუყვარდა მეფეს ესთერი.“

და ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელიც აცამტვერებს დ. სუმბაძის ბრალდებას ესთერისა და მორდეხაის მიერ სამეფო კარის, მეფე ახაშვეროშის ცთუნების თაობაზე: როცა სამეფო კარმა ვაშთის შემცვლელის სადედოფლო ქალწულზე ქასტინგი გამოაცხადა, არ იყო დათქმული რასისტული პირობა: ებრაელები ნუ მობრძანდებით, არ გვსურს დედოფლობის მაძიებელ ქალწულთა შორის ებრაელი ვიხილოთო. მთავარი გახლდათ მეფის თვალში, თუ როგორ მოწონებას ჰპოვებდა დედოფლობის მაძიებელი ქალწული. ჰკითხა კი ვინმემ: ვინ ხარ, რა რჯულისაო?

ასე რომ, ესთერს არავინ უცთუნებია.

ესეც არ იყოს, აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ესთერმა ეროვნებაზე არაფერი თქვა, არამედ „და შეუყვარდა მეფეს ესთერი“. რომ არ მოსწონებოდა, რომ არ შეყვარებოდა, რა აზრი ჰქონდა, ესთერი იუდეველი იქნებოდა, თუ კერპთთაყვანისმცემელი. ქასტინგი მრავალმა არაიუდეველმა გაიარა. მერე რა?

რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მორდეხაიმ ესთერს ურჩია, ეროვნულ წარმომავლობაზე არაფერი ეთქვა (თუმცა, არც არავის უკითხავს), —საზოგადოებაში ებრაელობისადმი დამოკიდებულებაზე, თუ ესთერის და მორდეხაის მაცთუნებელ ბუნებაზე? სად, რომელ ქვეყნებში არ აცხადებენ, ებრაელები თავიანთ წარმომავლობას? უნდა ვივარაუდოთ, რომ იმდროინდელი სპარსეთის იმპერიაშიც მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ასევე ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი იუდეველთა მიმართ, როგორც „ესთერიზმის“ ავტორი გახლავთ. მორდეხაიმ, როცა ესთერს ეს რჩევა მისცა, გართულებას აარიდა თავი. დღესაც კი, ჩვენს განათლებულ, ცივილურ საუკუნეში ამა თუ იმ ქვეყანაში ბევრი ებრაელი იძულებულია დამალოს თავისი ეროვნება. საქართველოშიც კი ბევრ ჩემს თანატომელს მას შემდეგ „გაახსენდა“ თავისი ეროვნება, როცა ისრაელი ესოდენ დაწინაურებული ქვეყანა აღმოჩნდა, ხოლო ებრაელობა, არც ისე საძრახისი, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი, თუ პუბლიცისტი გაიძახოდა. ზოგიერთი ქართველი ებრაელის საბჭოეთის დროინდელ პასპორტში მეხუთე გრაფის ინფორმაციით რომ დავინტერესდეთ, უსიამოვნო გრძნობა დაგვეუფლება — ადამიანი თავის ეროვნებას მალავდა. ჩვენი წელთაღრიცხვამდელი სპარსეთი კი საბჭოთა კავშირზე უფრო ცივილური ვერ იქნებოდა (მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა: მე და ჯემალ აჯიაშვილი იტალიაში გახლდით ევროპის ებრაელთა კონფერენციაზე. საღამო ხანს ჯემალმა თბილისში, შინ დარეკა. შვილმა, თუ მეუღლემ სიცილით უამბო გუშინდელ შეკრებაზე რამდენიმე „ცნობილმა“ ქართველმა ებრაელმა ერთი აურზაური ატეხა, რატომ არის რომ უცხოეთში სულ აჯიაშვილსა და ბათიაშვილს იწვევენო. ჯემალი გაბრაზდა, მთელი საღამო გაიძახოდა: „რატომ თავთავიანთ პასპორტებში არ იყურებიან, ახლა გაახსენდათ, რომ ებრაელები არიან, ჩვენ ხომ სულ ებრაელებად გვიცხოვრია!“)

და შემდეგ:

ქ-ნ დ. სუმბაძეს მორდეხაი „ანკეტზე წამოგების ტექნოლოგიის“ შემოქმედად მიაჩნია: მორდეხაიმ ჰამანს „იუდეველთა სიძულვილი ხელოვნურად მოახვია თავს“ ნუთუ, მართლა ასეა — ეს ბრძენი იუდეველი დადის და დაეძებს, თუ ვინ მოიკიდოს მტრად? მორდეხაიმ ჰამანს ებრაელთა სიძულვილი მოახვია თავს, თუ ეს დიდვეზირი, ესოდენი ჩინოსანი ამპარტავნობის, მის სულში დაბუდებული სხვათა დათრგუნვის ჟინმა იმსხვერპლა? ისევ „ესთერის წიგნს“ ჩავხედოთ: „იხილა ჰამანმა, რომ მორდეხაი მუხლს არ იყრიდა და თაყვანს არ სცემდა მას. და ჰამანი აღივსო რისხვით“ ამპარტავანი, დაწინაურებული ჰაგაგიელი განრისხდა იმის გამო, რომ მუხლს არ უყრიან, ვიღაც თაყვანს არ სცემს. დ. სუმბაძე ჰამანს იცავს და მორდეხაის, პროვაკატორად მიიჩნევს. მე კი ვფიქრობ: მორდეხაი დიდი შინაგანი ძალის, ზნეობრივი პიროვნებაა — ვის არ უყრის იგი მუხლს? ჰაგაგიელ ჰამანს — ებრაელთა ისტორიული მტრის ნაშიერ დიდმოხელეს. ე.ი. არ არის დიდვეზირთა წინაშე მუხლებზე მხოხავი კაცი (აფერუმ!)

მაგრამ არის ერთი გარემოება: მორდეხაიმ მეფის ბრძანებასაც კი — დიდვეზირს მუხლი მოუდრიკეთ, პატივისცემით მოექეცითო, გვერდი უქცია. მორდეხაი ზნეობრივად მართალია, თუმცა, მეფის კანონთა შეუსრულებლობისათვის უნდა დაისაჯოს, მაგრამ დ. სუმბაძე ამ დეტალს ყურადღებას არ აქცევს: „მის თვალს (ჰაგაგიელი ჰამანისას. გ.ბ.) დამამცირებლად ეჩვენა მარტო მორდეხაის ხელყოფა. აუწყეს რა მას მორდეხაის ხალხის შესახებ, განიზრახა ჰამანმა მოესრა მთელი ებრაელობა, მორდეხაის ხალხი, ვინც კი იყო ახაშვეროშის მთელ სამეფოში.“

ხედავთ, დ. სუმბაძის მიერ მორდეხაის „ინტრიგის“ მსხვერპლად წარმოდგენილი ჰამანი სად მიდის, რა განიზრახა? იმას კი არ სჯის, ვინც ზნეობრიობა, ერის ისტორიული მეხსიერება მეფის ბრძანებაზე მაღლა დააყენა და ისტორიულ მტერს მუხლი არ მოუყარა, განიზრახა მოსპოს მთელი ერი – იმპერიაში აღარ დარჩეს აღარცერთი ებრაელი (და თუ ამ პერიოდში – ჩვ.წ-მდე VI-V საუკუნეებში, საქართველოც იმ 27 სამთავროში შედიოდა, რომლის ბედსაც ახაშვეროში განაგებდა, და თუ დ. სუმბაძის მიერ შებრალებული ჰამანის გეგმა ასრულდებოდა, საქართველოს ებრაელობაც მოისრებოდა — „ქართლის ცხოვრებისა“ და კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კირიონ მეორის მიხედვით, ჩვენ უკვე აქ ვიყავით და იმის გამო, რომ მორდეხაიმ ჰამანს თაყვანი არ სცა, აღარ ვიქნებოდით.).

როგორ, რა გზებით ცდილობს ჰამანი მიზნის მიღწევას?ვნახოთ, თუ როგორია მისი მეთოდი, რადგან მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები ძალიან კარგად ახასიათებს ყოველ პიროვნებას. „ესთერის წიგნი“. თავი მესამე. „უთხრა ჰამანმა მეფე ახაშვეროშს: არის ერთი ერი, მიმოფანტული და განთესილი ხალხებს შორის შენი სამეფოს მთელ სამთავროებში. მათი კანონი განსხვავდება ყველა ხალხის (რჯულისაგან) კანონთაგან და არ ასრულებენ მეფის კანონებს. არაფრად უღირს მეფეს მათი დატოვება. თუ კეთილინებებს მეფე, დაიწეროს მათი განადგურება“.

ჰამანმა ის კი არ მოახსენა მეფეს არის ერთი კაცი, რომელიც შენს კანონს არაფრად აგდებს და უნდა დაისაჯოსო, არა, მეფეს ხალხის განადგურების, სრულიად მოსპობის პროექტი წარუდგინა.

1. მათი კანონი განსხვავდება ყველა ხალხის (რჯულისაგან) კანონისაგანაო.

2. ეს ხალხი მეფის კანონებს არ ასრულებსო.

3. უამათოდ მეფე ახაშვეროშს არაფერი დააკლდებაო.

4. ამის გამო მათი განადგურების ბრძანება გამოვცეთო – დაიწეროსო.

პირველი ბრალდება – ებრაელთა განსხვავებულობა, თავისთავადობა ყოველთვის გახლდათ მათი დევნის ერთ-ერთი მიზეზი – ადამიანებს არ უყვართ მათგან განსხვავებული თავისთავადი პიროვნება, ხალხი.

მეორე ბრალდება – ნაყოფია სიუზერენთა მარადიული სენისა: დიდვეზირთ ზოგჯერ ძალუძთ ხელმწიფეთ ის „შეუცურონ“, რაც ძალაუფლებას განუმტკიცებთ და შურისძიებასა თუ „კეთილის ქმნას“ შეაძლებინებთ. მორდეხაის „მსხვერპლმა“ ჰამანმაც კარგად იცის მძლეთამძლე ახაშვეროშს როგორ „შეუცუროს“ სასურველი: ამით შენს სამეფოს არაფერი დააკლდება, კანონი კი ასრულდებაო. ასე რომ ერთი პიროვნების ზნეობრიობის გამო დიდვეზირმა მთელი ერის მოსპობა-განადგურების ვერდიქტი გამოსტყუა მეფეს.

იმედს ვიტოვებ ჩემი ამ შენიშვნების გამო ქ-ნი დ. სუმბაძე ისე არ გამინაწყენდება, მთელ ქართველ ებრაელობაზე იძიოს შური. თუმცა, ამ მიმართებით მან უკვე გადადგა ნაბიჯი: ქართველ ებრაელობას დიდ ცოდვაში დასდო ბრალი. ციტატა: „ერთ-ერთი ქართველი ებრაელი, პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე ქართველი ებრაელების ისტორიულ დამსახურებად გადმოგვცემს თამარ მეფის დაქორწინებას გიორგი რუსზე, იმ ქართველ ებრაელების, რომლებიც საქართველოს სამეფო კარზე დაწინაურებულნი იყვნენ და შესაძლებლობა ჰქონდათ გავლენა მოეხდინათ სამეფო კარის ცხოვრებაზე. ჩვენს მიერ ბიბლიური „ესთერის წიგნისა“ და ესთერისა და მორდეხაის პიროვნული ფენომენის გადმოცემის შემდეგ, ნათლად წარმოსადგენი ხდება, თუ რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო მეფე თამარი, რომ უწესო გიორგი რუსიც აელაგმა და ყოველგვარი მცდელობანიც მისი ძალაუფლების შეზღუდვისა ებრაული წარმომავლობის მოხელეთაგან“.

ოჰ, ოჰ, ოჰ!

1. მოდით, ჯერ ის ქართველი ებრაელი „პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე“ ვიკითხოთ, რომელიც ასეთ უცნაურ, პირწმინდად კონიუნქტურულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს: ეს პოლიტოლოგი დილა-საღამოს ტელეეკრანიდან ისრაელის სახელმწიფოს სიავეზე გვესაუბრებოდა, ეს ის ქართველი ებრაელი „მოღვაწეა“, თავის წიგნში რომ გამოგვიცხადა: ამრიგად, ისრაელი არ არისო ებრაელი ხალხის სამშობლო, ეს ის „პოლიტოლოგია“, 127 მილიონიან არაბულ სამყაროს, ამათგან კი ბევრი ჰამანის სულიერი მემკვიდრე იყო და არის, ოთხმილიონიანი ისრაელის აგრესიის სამიზნედ და მსხვერპლად გვიცხადებდა. დ. სუმბაძე ასეთ დასკვნას გვთავაზობს არაკომპეტენტური ავტორის შრომაზე დაყრდნობით და ვერაფრით ვერ მოვუწონებთ იმას, რომ ამ კონიუნქტურისტის ერთი ფრაზის საპირისპიროდ ცდილობს წარმოგვიდგინოს თამარ მეფის სიდიადე — თამარ მეფე იმდენად დიდი მოვლენა გახლავთ, უხერხული, უკადრისიცაა ამგვარი მოღვაწის ფონზე გვიმტკიცებდნენ ურყევ ჭეშმარიტებას.

2. რომელ „ებრაული წარმომავლობის მოხელეებზე“ და მათს მიერ თამარ მეფის „ძალაუფლების შეზღუდვაზე“ გვესაუბრება ავტორი? სად იყვნენ ეს „ებრაული წარმომავლობის მოხელეები“? იქნებ, ქ-ნ დ.სუმბაძეს „ქართლის ცხოვრებაში“ ჩაეხედნა, რომ ერთი კონიუნქტურისტი „მოღვაწის“ გამო ქართველი ებრაელობა ასე არ მოეხსენიებინა?ამ თემაზე არსებობს თანამედროვე ქართველ ებრაელთა შრომებიც. და თუ ქ-ნი დ. სუმბაძე არც „ქართლის ცხოვრებას“ ჩახედავს, არც თანამედროვე ქართველ ებრაელ ავტორთა წიგნებს, იმედს ვიტოვებ, რომ დამერწმუნება: საქართველოს სამეფო კარზე არა-რა „ებრაული წარმომავლობის მოხელეები“ არ იყვნენ. ვინ ეკითხებოდა ქართველ ებრაელობას თამარ მეფის შეუღლების საკითხის გადაწყვეტას. „ქართლის ცხოვრება“ საკმაოდ ცხადად გვამცნობს, თუ რა მისია დაეკისრა ზანქან ზორაბაბელს. ამ თემაზე მეც მიმუშავნია და რომანში „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“ შევეცადე გამომეხატა ზანქან ზორაბაბელის სულიერი მღელვარება, შინაგანი შფოთი, დიდი პასუხისმგებლობა ქართული სახელმწიფოს წინაშე.

შესაძლოა, ზოგიერთმა ახლომხედველმა იფიქროს, აი ბათიაშვილი ებრაულ ფასეულობების დაცვას არის მოწოდებულიო. რასაკვირველია, ებრაულ ფასეულობებს ვიცავ, მაგრამ ზემოთ არაერთხელ ითქვა, კვლავაც ვიმეორებ: ერთნაირად ვიცავ ქართულსა და ებრაულს, რადგან ასეთი პუბლიკაციები უწინარესად, იმ ქვეყნის, იმ კულტურის, ღირსების დამაკნინებლად მიმაჩნია, რომელსაც მე ვეკუთვნი. ამას გარდა, ბიბლიის ნებისმიერი წიგნის გაბრიაბრუება, შეურაცხყოფა ქრისტიანობის შეურაცხყოფაც გახლავთ, „ძველი აღთქმა“კი, ეს დ. სუმბაძეს უნდა მოეხსენიებოდეს, ქრისტიანობისთვისაც წმინდა წიგნია. ზოგიერთი ავტორი კი ისე გაუტაცნია ებრაელობათა დამცრობის, მონსტრად გამოყვანის სურვილს, ქრისტიანულ ფასეულობებსაც არ უფრთხილდება.

დასასრულს, არ შემიძლია არ დავსვა ერთი კითხვა: საქართველოში რატომ იწერება ასეთი ხასიათის წერილები, ვის სჭირდება ისინი?

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.
№17. 2 მაისი. 2014 წ.

სასამართლო ქრონიკა

როგორც მკითხველს უკვე ვაუწყებდით, სპორტულმა კომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში ექვსჯერ აღძრა საქმე მწერლის, გაზეთ „მენორას“ რედაქტორის გ. ბათიაშვილის წინააღმდეგ. ექვსივე საჩივარი (ორჯერ საქმე აღძრული იქნა ხუხაშვილის თანამოაბჯრეების მიერ იმ ბრალდებით, რომ გ. ბათიაშვილი გახლავთ საქართველოს მოღალატე — იგი წერს, საქართველოში ანტისემიტიზმი მძვინვარებსო და ა.შ.) სასამართლომ საჩივარი წარმოებაში არ მიიღო. ჯ. ხუხაშვილმა მეშვიდედ შარშან ებრაული ახალი წლის წინა დღეებში აღძრა საქმე ბათიაშვილის წინააღმდეგ იმ ბრალდები, თითქოს ბათიაშვილი მას ცილს სწამებდა ნარკოტიკებით ვაჭრობაში. საქმე წარმოებაში იქნა მიღებული და გ. ბათიაშვილს სწორედ როშ ჰაშანის წინ გადაეცა სასამართლოს უწყება, რომელშიც ხუხაშვილი ბათიაშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვდა.

2013- 14 წლებში გაიმართა სასამართლოს ოთხი სხდომა.

7 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა თავისი ვერდიქტი — სასამართლომ არ გაიზიარა, უარყო ხუხაშვილის მიერ ბათიაშვილისადმი წაყენებული ბრალდებები.

მკითხველს შევახსენებთ,რომ 2012 წელს ხუხაშვილმა ისრაელში, ხაიფის სასამართლოში ასევე აღძრა საქმე ბათიაშვილის წინააღმდეგ.ხუხაშვილის ეს აქცია მისი დაჯარიმებით დასრულდა.

როგორც ამბობენ, ხუხაშვილი აპირებს მიმართოს სააპელაციო სასამართლოს. ხუხაშვილმა ხომ „საქართველოს მოღალატე“ ბათიაშვილთან ბრძოლის ფონზე დივიდენდები მოიპოვა

ბამიდბარ

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

აჰარონ მდინარაძე

თორის მეოთხე წიგნი „ბამიდბარ“ (უდაბნოში) იწყება მოსახლეობის აღწერით, რომელშიც თითქოს არ არის არანაირი საჭიროება და იყო აგრეთვე დამატებითი დავალება დაეთვალათ სახლების მიხედვით, ანუ პირველ რიგში საჭირო იყო აღრიცხვა იმისა რომელ სახლში (კარავში) რამდენი ადამიანი ცხოვრობდა,და მხოლოდ შემდეგ საერთო რაოდენობა.

აქედანვე ჩანს რომ ებრაელი ხალხი შედგება არა ცალკეული ადამიანებისგან, არამედ ოჯახებისგან, თითოეული ადამიანი განისაზღვრება ჯერ როგორც შვილიშვილი და შვილი, ხოლო შემდეგ მამა და ბაბუა (ან დედა და ბებია).

მიდრაშში წერია,რომ მსოფლიოს სხვა ერებმა თქვეს, რატომ აირჩია ჰაშემმა ისრაელები თორის მისაღებად,რაზეც ჰაშემმა უთხრა: „მოიტანეთ თქვენც თქვენი შთამომავლობის წიგნები, ისევე როგორც ებრაელებმა“ - ერთ-ერთი მიზეზი რატომაც დაიმსახურეს ისრაელებნმა თორის მიღება - ეს არის მათი შთამომავლობის სიწმინდე (არ არევა სხვა ერებთან).

აქედან ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია შთამომავლობის (ებრაული ოჯახის) სისუფთავის შენარჩუნება.

როგორც ვიცით, თორა მოცემულია „წმინდა ენაზე“ - ლაშონ ჰა კოდეშ, არის ამასთან დაკავშირებით კამათი რატომ ჰქვია ივრითს „წმინდა ენა“.

რამბამი(რაბი მოშე ბენ მაიმონ) წერს თავის წიგნში „დაბნეულთა გზის მკვლევი“ - იმიტომ რომ ამ ენაში არ არის უწმაწური სიტყვები.

რამბანი (რაბი მოშე ბენ ნახმან) კი კომენტარებში თორის თავში „ქი თისა“ წერს, იმიტომ რომ ეს ენა გამოყენებულია თორისთვის და წინასწარმეტყველებისთვის.

აქედან გამომდინარე, იძახიან ჩვენი რაბინები,რომ არასასურველია ივრითზე არაწმინდა თემებზე საუბარი,მითუმეტეს უზრდელული და მლიქვნელური თემების განხილვა, ან ლაშონ ჰარას საუბარი(ავი ენა).

ლაშონ-ჰარას წესები:

ბევრს ჰგონია, რომ ლაშონ ჰარა არის ტყუილი,ვნახოთ როგორ განსაზღვრავს მის წესებს ხაფეც- ხაიმი, რომელიც გამოჰყოფს მის ძირითად 4 ფორმას:

პირველი ფორმა - როდესაც ერთი ადამიანი ელაპარაკება მეორე ადამიანს სხვა ადამიანზე, და იძახის მასზე დამამცირებელ ან შეურაცხმყოფ კომენტარებს,მიუხედავად იმისა, ეს სიმართლეა თუ არა-ორივე მთქმელიც და მომსმენიც, დამნაშავე არიან ლაშონ-ჰარაში

მეორე ფორმა - როდესაც ერთი ადამიანი ელაპარაკება მეორე ადამიანს და ეუბნება,რომ მესამე ადამიანმა მასზე თქვა, რაიმე დახასიათება(მაგალითად ,ის არის ცივი ადამიანი) და ეს სიმართლეა(ანუ ენის მიტანა),მიუხედავად იმისა რომ ეს სიმართლეა, ორივე --მთქმელიც და მომსმენიც დამნაშავე არიან ლაშონ-ჰარაში

მესამე - როდესაც ერთი ადამიანი ელაპარაკება მეორე ადამიანს და ეუბნება,რომ მესამე ადამიანმა მასზე თქვა , რაიმე დახასიათება(მაგალითად ის არ აბრუნებს ვალებს) და ეს ტყუილია -ორივე მთქმელიც და მომსმენიც დამნაშავე არიან ლაშონ-ჰარაში

და მეოთხე - როდესაც ერთი ადამიანი ელაპარაკება მეორეადამიანს და ააყენებს მას შეურაცხყოფას,თუნდაც ერთი-ერთზე,მით უმეტეს საზოგადოებაში,და ესეც შეიძლება იყოს სიმართლე,შეურაცხყოფის მიმყენებელი დამნაშავეა ლაშონ ჰარაში და ეს ითვლება ლაშონ ჰარის ყველაზე მძიმე ფორმად.

აქედან ჩანს, რომ ლაშონ ჰარას ოთხი ფორმიდან სამი არის ან შეიძლება იყოს სიმართლე.

საინტერსოა აგრეთვე რა სახელებია ჩამოთვლილი მოსახლეობის აღწერის დროს ჩვენ კვირის თავში:

დეუელ-იცნობდეთ ჰაშემს; ელიშამა-ჩემმა ჰაშემმა გაიგო; ელიცურ-ჩემი ჰაშემი კლდეა (საყრედენია, დაცვაა); ცურიშადაი-ჩემი კლდეა-ჰაშემი; ამიშადაი-ჩემი ხალხი მინდობილია ჰაშემზე;ელიეზერ-ჩემმა ჰაშემმა მიშველა; ამინადავ - ჩემი ხალხი გამცემია; ახიეზერ-ჩემი ძმა დამხმარეა; ახისამახ - ჩემი ძმა საყრდენია;ნათანელ-ჰაშემმა მომცა;ელიავ-ჩემი ჰაშემი მამა;გამლიელ-მეც მყავს ჰაშემი;ელიასაფ-ჰაშემმა დამიმატა.

ყურადღებაა მისაქცევი, რომ ასეთ სახელებს არქმევდნენ და ეძახდენენ ებრაელები შვილებს ეგვიპტეში,უცხო ქვეყანაში და საშინელი მონობის პერიოდში.

ამ პერიოდში ფესახიდან შავუყოთამდე მიღებულია „პირკე ავოთის“(მამების ლაპარაკი-დარიგებები) სწავლა,ყოველ შაბათს ერთი თავი,ამ შაბათს ჩვენ ვკითხულობთ მეხუთე თავს,განვიხილოთ ამ თავის 21 მიშნა-სადაც ლაპარაკია ადამიანის ცხოვრების პერიოდებზე.

„ის(შმუელ ა კატანი) იძახდა 5 წლისამ უნდა დაიწყოს წერის სწავლა,10 წლისამ - მიშნის,13 წლისამ - მიცვების(წესების და დადგენილებების) შესრულება,15 წლისამ - თალმუდის სწავლა,18 წლის - ხუფა(ქორწილი),20 წლის-დადევნება, 30 წლის-ძალა,40 წლის -გაგება,50-უფლება რჩევების მიცემის, 60-სიბრძნე, 70-ჭაღარა, 80-სულიერი სიძლიერე, 90 - წელში მოხრილი, 100-როგორც გარდაცვლილი.

5 წლის - ერთი ახსნით ამ ასაკიდან უნდა წავიდეს ბავშვი სკოლაში, რომ ისწალოს ანბანი და წერა,მეორე აზრით უკვე 3 წლიდან ასწავლიან ბავშვს წერა-კითხვას

13 წლის - ბავშვი უკვე ითვლება გაზრდილათ და ვალდებულია წესების შესრულებაზე.

20 წლის - რას ნიშნავს დადევნება -? ამაზე არის კამათი,ერთი აზრით თუ ადამაინს აქამდე არ ჰყავს ცოლი,ის ვალდებულია გადადგეს ამ საქმეზე, აღარ გადადოს სამომავლოთ, რომ არ ჰქონდეს მას უწმინდური აზრები, მით უმეტეს ქმედებები (ჰამეირი).

სხვა ახსნა-თუ მას ჰყავს უკვე ოჯახი ვალდებულია იზრუნოს შემოსავალზე და არ იყოს სხვების კისერზე(ბარტანურა)

და კიდევ ერთი ახსნა - დაედევნოს მტერს,იმიტომ რომ როგორც ვიცით ჩვენი თავიდან (ბამიდბარ,თავი-1,ფასუკი-3) - 20 წლის ასაკიდან ტარდებოდა მამაკაცების აღწერა,და ასევე ვალდებულია წავიდეს ჯარში,ფიზიკურში (სამხედრო სამსახური) ან სულიერში (იეშივა).

ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილიდან რა უნდა ვისწავლოთ:

1-სავალდებულოა ებრაული ოჯახის სისუფთავის შენარჩუნება

2-ივრითის სწავლა

3-სავალდებულოა ბავშვებისთვის ებრაული სახელების დარქმევა და მათი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში (და არ სხვა ზედემეტსახელების მოგონება)

4-აკრძალულია ლაშონ ჰარას (თუ გინდაც სიმართლე იყოს) ლაპარაკი და გავრცელება

5-ბავშვების აღზრდა თორის მიხედვით და მათი დროული დაქორწინება

შაბათ შალომ!

მეგობრობისა და კოლეგის ხსოვნას - შოთა ბოსტანაშვილი

იცხაკ დავიდი

ესოდენ წყნარი და მოკრძალებული იყო ის, დინჯი, დაფიქრებული, რაღაც საიდუმლო ნოსტალგიით მოსილი. მოყოლებული გვიანი 1980-იანი წლებიდან ჩვენი გზებიც გადაეხლართებიან ერთმანეთს. ესოდენ საერთო რამ გვაკავშირებდა — ზოგადი ისტორიოგრაფია, არქეოლოგიური პერიპეტიები, კავკასიურ-ებრაული ეთნოგრაფია, კულტუროლოგია და რაღა თქმა უნდა ეპიგრაფიკა. მისი სიცოცხლე რაღაც ტრაგიკულსა და ამოუცნობს მიანიშნებდა ყოველთვის, მასთან საუბარი რაღაც შორსმსვლელ შტრიხებსა და სიღრმივ-აზრობრივ დანაშრეტებს შეიცავდა. ყოველ შემთხვევაში ყოველთვის რაღაც ახალს გებულობდი და იძენდი ამ უზადო, მიამიტი და ნიჭიერი ადამიანისგან. რა ხანმოკლე აღმოჩნდა შოთა ბოსტანაშვილის სიცოცხლე. აი, თითქოს გუშინ ვიხილე იგი, მომღიმარი გვეპატიჟება თავის მყუდრო თბილისურ ბინაში, ის ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და მენტორის განსვენებული ამაგდარი აკადემიკოსის ანდრია აფაქიძის მეზობლად ცხოვრობდა და ეს მეზობლობა სიმპტომატიური იყო, როგორც პროფესიონალურად, ასევე ადამიანურად. იგივე წრე საკვლევი საკითხებისა, წამოჩენილი ინტერესებისა, ერთთან სტუმრობა, მეორესთანაც სტუმრობას ნიშნავდა.

1990 წელი. იერუშალაიმი, მორიგი კონფერენცია მიძღვნილი საქართველოს ებრაელთა ისტორიისადმი, ისრაელ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებისადმი. ჩვენს ნაცნობ კოლეგებისა და მეცნიერ-მუშაკებს შორის აშკარად გამოირჩეოდა ეს ორი პიროვნება: აწ განსვენებული სულმნათი გურამ შარაძე და შოთა ბოსტანაშვილი. მათმა მოხსენებებმა საყოველთაო გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა. ამიერიდან დაიწყო ჩვენი მჭიდრო ურთიერთობა ორივესთან, რამაც ნიშანდობლივი გამოხატულება ჰპოვა სათანადო კორესპონდენციაში, აზრთა გაცვლა-გამოცვლაში, როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში.

შოთა ვითარც ჭეშმარიტი პატრიოტი ორივ ქვეყნისა; აკი შესწირა კიდეც მათი ისტორიული ურთიერთობების შესწავლას მნიშვნელოვანი დრო თავისი სიცოცხლისა.

1991 წელი. თბილისი. ჩვენ ნახევრად ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებით საქართველოს დედაქალაქში: გამოსვლები, პრეზენტაციები, სტუმრობა ხელნაწერთა ინსტიტუტში და საუბარი აკად. ელენე მეტრეველთან. ჩვენი საერთო მეგობრები გარშემო ფუსფუსებენ. ქალაქში და საერთოდ ქვეყანაში დაძაბულობაა, საპროტესტო გამოსვლების სერია, რომლის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ქარგას აქ არ შევეხებით. ბევრი რამ ხომ პირუთვნელი ისტორიული განსჯის საგანი უნდა გახდეს, განა კი შეიძლება ყოველივე ჩვენთაგანმა მსაჯულის ტოგა მოისხას და ობიექტურობა დაიჩემოს?! მართალია გარემოებები ქმნიან ადამიანებს, აყალიბებენ მათ ფსიქო-სოციალურ მრწამსსა და ორიენტაციას, მათ ესთეტიკურსა და ზნეობრივ პრეფერანსებს, მაგრამ საკუთრივ ადამიანები, ინდივიდები არ უწყობენ ხელს იმავე გარემოებების ღრმად დიფერენცირებულად აღქმას და გააზრებას?! აქედან შეხედულებათა და გაკეთებულ დასკვნათა სახესხვაობა. ასეთი შთაბეჭდილება გვექმნებოდა მაშინაც, 1990-იან ადრეულ წლებში, უშუალოდ სსრკ-ის დაცემის შემდეგ.

ასეთი კოლაფსის ძალა განუმეორებელი იყო თავის წიაღსვლებითა და სემანტიკით, ჰიტლერულ ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში 1000 წლის რეიხის შექმნა სურდათ, თუმც კი ბოლო ნათელია, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ლენინებსა და სტალინებს, სამარადჟამო საბჭოური წყობის დამყარება ეწადათ და ეს ბოლოც ნათელია. და განა კი რა იქნება ახლა ჩვენი ერთი ციცქნა ისრაელის ბედი?! ეს საკითხი ყოველთვის აფიქრებდა შოთას, საგონებელში აგდებდა, და მასთან საუბრისას ვგრძნობდით, რომ ისიც ჩვენსავით ეძებდა რაღაც სპონტანურ, თითქმის ირაციონალურ გამოსავალს. განა კი მოვახერხებდით ამას?! ზოგიერთ ტვინდაკორძილ, ბრმა პოლიტოლოგს ეგონა სსრკ-ის დაშლით ყველა საჭირბოროტო საკითხი მოგვარდებოდა და სამუდამო მშვიდობა დაისადგურებდა მსოფლიოს განივკვეთებზე. შოთა არ ეკუთვნოდა მათ რიცხვს. მან უკეთ უწყოდა, თუ რას მოასწავებდა ასეთი უცაბედი, მოულოდნელი დეზინტეგრაცია: აღვირახსნილი და განუწყვეტელი სისხლიანი ეთნოკონფლიქტები, რელიგია/სარწმუნოებათშორისი სიძულვილისა და ზიზღით გაღვივება, გაუტანლობისა და მოუთმენლობით მომძლავრება, ნეგატიური პირადული ნიშან-თვისებების გამოკვეთა და წინა პლანზე წამოწევა. იმ პერიოდში საქართველოს ებრაელობაც განიცდიდა ასეთი ბიწიერი ელემენტებით დაწოლას და ეს არცაა საკვირველი.

თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი შოთას მაშინ თბილისში, სასტუმრო აჭარაში მომაკითხებდნენ ჯემალი, შოთა და რუბენ ენუქაშვილი. მოდიოდნენ ჩვენი ყოფილი თანაკურსელებიც თბილისის უნივერსიტეტიდან. ერთ-ერთი ასეთი საკმაოდ კონფიდენციალური შეხვედრის დროს შოთამ პირადად გადმომცა მის მიერ გადაღებული და დოკუმენტირებული სურათები თბილისის ებრაელთა სასაფლაოდან 70-ზე მეტი ქვა ვანდალიზებული იყო, ზედა სვეტები ჩატეხილი, წარწერები დაზიანებული და ნაწილობრივ გადაშლილი. ვის სჭირდებოდა ასეთი მაკაბრული ანტიებრაული გამოსვლა მაშინ საქართველოში, რომლის პირველი პოსტ-საბჭოური პრეზიდენტი ჩვენი განსვენებული კოლეგა და მეგობარი ზვიად გამსახურდია იყო?!

მოვლენებმაც სწრაფად იწყეს განვითარება. ერთ-ერთ საღამოს მეგობრების ინიციატივით ძველ პალესტინაში (ისრაელი) ქართული სიძველეების ამაგდარი მკვლევარის პროფ. თამილა მგალობლიშვილის ოჯახს ვესტუმრეთ. გულუხვად გაშლილ სუფრასთან

„მენორამ“ გამოსცა

ამ დღეებში სრულდება წლისთავი გამოჩენილი ებრაელი მოღვაწის, არქიტექტურის პროფესორის შოთა ბოსტანაშვილის გარდაცვალებიდან. ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ცნობილია, რომ შ. ბოსტანაშვილი „მენორას“ სასახელო ასტორი გახლდათ — ამ გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა მისი სტატიები, რომლებშიც განიხილებოდა საქართველოს ებრაელობის აქტუალური საკითხები — იგი ხომ გულმხურვალე ქომაგი გახლდათ თავისი ერისა.

შ. ბოსტანაშვილის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით გაზეთმა „მენორამ“ გამოსცა მომცრო კრებული „შოთა ბოსტანაშვილი მენორას ფურცლებზე“ წიგნში შესულია შ. ბოსტანაშვილის მიერ ამ გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილია სტატიები წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე. ასე რომ, მკითხველს საშუალება ემლევა ნაწილობრივ მაინც გაეცნოს ამ ჩინებული მოღვაწის მემკვიდრეობას.

წიგნში ასევე შესულია ქართველ და ებრაელ მოღვაწეთა მიერ შ. ბოსტანაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი სტატიები. აქ წაიკითხავთ ემზარ კვიტაიშვილის, გურამ ბათიაშვილის, რუბენ ენოხის, იოსებ ბარდანაშვილის, მარინე ბუზუკაშვილის და სხვ.წერილებს.



არაერთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი იყო. აქვე გავიცანით პროფ. იულონ გაგოშიძე, რომელიც მაშინ მცხეთის რაიონის პრეფექტი იყო. მანვე გამოთქვა სურვილი ჩვენი თანამეგზური ყოფილიყო. მეორე დღეს მცხეთის მიდამოებში დავიარებოდით: ბაგინეთი არმაზისხევი. სვეტიცხოველი და სხვა. სწორედ ის ადგილები რომლებიც ადრე გვქონდა დათვალიერებული აკად. ანდრია აფაქიძის, პროფ. გივი ღამბაშიძისა და სხვების თანხლებით. ყოველ ასეთ დაზვერვა-შესწავლას თუ ექსპლუატაციას თავისებური ელფერი დაჰკრავდა.

თითქმის მთელი დღე დავყავით. იულონმა და მე მაშინ მცხეთაში, შუადღე გადასულს სასტუმროში დამაბრუნა თავის სამსახურეობრივი მანქანით და დამემშვიდობა თუმც კი... მოკლე ხნით. სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ ისევ მომაკითხა, მითხრა პრეზიდენტი გელოდებათო. დაუყოვნებლივ გავემზადე და წავყევი, თან შოთა ბოსტანაშვილის მიერ გადმოცემული ფოტო-დოკუმენტაცია გავიყოლიე პრეზიდენტ გამსახურდიასთან შეხვედრისას ამ სავალალო ვანდალიზირების ფაქტის დასადგენად და გამოსაკითხად. საუბარმა ორ საათამდე გასტანა პრეზიდენტის კაბინეტში. სახეზე ეტყობოდა ზვიადს რაოდენ შეწუხებული იყო იგი, გაოგნებული და სახტად დარჩენილი, ის კი დასძინა, რომ წინასწარი ძიების მიხედვით ადგილი ჰქონდა კარგად ჩაფიქრებულსა და გამიზნულ პროვოკაციას, მისი ხელისუფლების დისკრედიტაციისაკენ მიმართულს. იგი სინანულს, წუხილს და ნუგეშისცემას გამოთქვამდა საქართველოს კერძოდ თბილისის ძველი ებრაული სასაფლაოს შელახვის გამო. და ეს თანაბრად ეხებოდა ყოველ ებრაულ სასაფლაოს საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრიქონების ავტორის მამის ნეშტი სწორედ თბილისის მშობლიურ სასაფლაოზე განისვენებს ჩრდილოდასავლეთის მიმართულებით, ზემო გალავანთან ახლოს. პრეზიდენტთან შეხვედრისა და საუბრის სხვა ასპექტებს ჩვენ აქ არ შევეხებით, საცნაური იყო მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჩვენს შორის სწორედ ის ავბედითი სურათები ეწყო, ვითარც მანიშნებელი რაღაც არასასურველისა და... განწირულობისა. შოთასეული სურათები, რისთვისაც მისი საუკუნოდ მადლიერნი ვხდებოდით. ის ხომ ელოლიავებოდა ყოველი საფლავის ქვას, განიცდიდა მის სიძველესა და მოცვეთილობას, მისთვის იქ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი ესვენა, და მხოლოდ შემდეგ ესა თუ ის პიროვნება: დიდი, პატარა, კაცი თუ ქალი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ქრისტიანი თუ ებრაელი.

შოთა აბრამის ძე ბოსტანაშვილი (დ. 1948 წელს), ჩვენზე ორი წლით უმცროსი, ასზე მეტი არქიტექტურული პროექტის ავტორი, ლექტორი, პროფესორი, საერთაშორისოდ აღიარებული „არქიტექტურის პოეტიკის“ შემქნელი. შოთასთვის, მოცემული შენობა, აღსამართავი სტრუქტურა უნდა სუნთქავდეს, მღეროდეს, არსებობდეს თავის შინაგანობით, ფენომენოლოგიური დატვირთვით. 1989 წელს ჩვენი განსვენებული კოლეგის, სემიტოლოგის ნისან ბაბალიკაშვილის სახელობის საქართველოს ებრაელთა მატერიალური კულტურის ფონდმა გამოსცა შოთა ბოსტანაშვილის მონუმენტალური ნაშრომი „სინაგოგებისა და ებრაული სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში“, რომელშიც შევიდა შესავალი ტექსტი და საილუსტრაციო ფოტოები. მეორე წიგნში განზრახული იყო სინაგოგებისა და მესამეში — სასაფლაოების ხუროთმოძღვრული კვლევა. და ჩვენც მივყვებით შოთასეული ძიებისა და აღმოჩენების ლაბირინთებს. მაღლივი თაღოვანი ფანჯრები ბრწყინვალედ დაგეგმილ სალოცავებში, ორნამენტული სვეტების სიდიადე, თითქოს დიდ ხელოვანს საკუთარი ხელით მოუქარგია ეს ჩინებული კედლები, საუცხოოდ გრავირებული ამვონები, ზეარს აღსავალი საფეხურებით, შესანიშნავი კანდელაბრები ირიბად შემოჭრილი მზის სხივების თამაშს რომ ესალმუნებიან ანგელოსისებრ დაცემულ ჩრდილებთან. შოთასეული ფოტოილუსტრაციები რაოდენ ეხმაურებიან და ესინთეზებიან გალაკტიონის ლირიკული სახეების სერიას: — შევდივართ სასახლეში, წმინდაო დამიცევ... — ანდა „შემოდგომა წმინდა მამათა უმანკო ჩასახვის სავანეში“. ანდა: — შემოიჭრება სიონში სხივი და თეთრ ოლარებს ააელვარებს — ასეთსავე ასოციაციებს იწვევს ტერენტი გრანელისეული „წითელი მზე აელვარდა მინებთან, მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე, — უიმედო გულის ფეთქვა მინელდა, შენ წმინდაო მაცხოვარო, ამინ!

და აი, შოთაც სცემს ამენს ასეთ თვალწარმტაც არქიტექტონიკურ ლირიკას მის მიერ გადაღებულ ფოტო-დოკუმენტებში. ეს შესაძლოა იყოს იგივე თბილისეული სალოცავი, მეორე სართულზე, თებიდან ხელმარცხნივ, შუაგულში. აქ მამისეულ საგვარეულო, წარწერა-მონიშნებულ სკამზე განვლო ჩვენმა ბავშვობამ, დიდი ფანჯრის გამოსწვრივ. თვალს შევავლებდით აქედან ლურჯ მოფირუზო ცას და თითქოს უხილავი ძალების შემოსვლა-შემობრუნებას მოველოდით. შოთამ შესძლო წარმოესახა ეს იდილია გეომეტრიულ კონტურებსა და მხატვრულ ფერებში. ეს ხომ ის თორისეული მიშქანია, რომელიც უზენაესმა მოითხოვა მოშესგან, ყოველი თვითვეული ისრაელის გულში, სულიერებაში, მიშქანი — მოსავანებელი შეექმნათ უზენაესი განგებისათვის, ლამაზად მოქარგულ-მოკემსილ ფარდებს ვაკვირდებით, შემდეგ მზერა უნებლიედ მოოქროვილ შანდლებზე გადადის... ათენდება და აღამდება ამ დიდებულსა და სათაყვანებელ მიშქანებს თავის სანუკვარ არონ-ჰაედუთებით. შოთა და მისი თანამშრომელი კოლეგა იური მეჩითოვი ახერხებენ ზუსტ ფოკუსში მოაქციონ გადასაღები ობიექტი იქნება ეს ქუთაისური „მწვანეყვავილას“ კედლის მხატვრობა თუ ახალციხის ძველი სალოცავის ფასადი, ლამაზად ამოწვილვული მასზედ დავიდები თუ ორდაფოვანი ათი მცნების შემცველი წარწერები, ოსტატურად დამზადებული გრძელი სკამების რიგი თუ მაღალ-თაღოვანი ჭერი. ვეცნობით თბილისის ძველი უბნის შესანიშნავ ხედებს. 1905 წლიდან მოქმედ ახალციხელების ლოცვას, სადაც 1940-1950-იან წლებში ამ სტრიქონების მამა ხაიმ დავითაშვილი ხელმძღვანელობდა საკრებულოს, ცოცხლდებიან თავდადებული გაბაების ეფრაიმ ფარლაგაშვილის, ხაიმ მორდუხაშვილისა და სხვების სახეები. ჩვენი გამოჩენილი რაბები და ხახმები: ყიმანულ დავითაშვილი, მოშე და აბრამ ჯანაშვილები, ბეცალელ ბაბალაშვილი, და რა თქმა უნდა, ჩვენი ამაგდარი აღმზრდელი და მასწავლებელი რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილი. მათ ხომ მთელი ეპოქა შექმნეს ჩვენი ბავშვობისა და ყრმობის გარკვეულ პერიოდს რომ დაემთხვა. ვაკვირდებით წმინდა თორის გრაგნილების შემნახველ კარადებს, ჩინებულად გაფორმებულ ინტერიერებს. ამდენი საკრებულო სახლი, ძველი კომპლექსების ნაშთები, სასაფლაოები და საფლავის ქვები თავის ლაპიდარული წარწერებითა და რიტუალურ-ტრადიციული სიმბოლოებით: მენორა, შოფარი, ლულაბი, ეთროგი, მაგენ-დავიდი, საყოველთაო სამარხოვანის აღმნიშვნელი აბრევიატურა: ფო ნიკბარ — აქაა დაკრძალული“ ან „აქ მოივანებს“ და დამასრულებელი — თნცვ”ჰ — იქნეს მისი სული გამონასკვული სიცოცხლისეულ ნართულში.

შოთა ბოსტანაშვილი გარკვეულ წილად ფილოსოფოსიცაა, იგი მიუთითებს გერმანული იდეალიზმის დამაარსებლის გეორგ ფრ. ჰეგელის შემეცნებისეული ფორმების კლასიფიკაციაზე ხელოვნების სათანადო დარგებში და თავის ინგლისურენოვან კომენტარში (ხსენ. შრომა) განსაკუთრებით აღნიშნავს სიტყვის სიმბოლურსა და ფიზიკურ-ემოციონალურ სემანტიკას. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ განსვენებული კოლეგის აზრს, რომ არსებობდა და არსებობს გარკვეული სიძნელე კონკრეტულ ტერიტორიას მოკლებული ერის არქიტექტურული ფენომენის ჩამოყალიბებაზე, რაც ესოდენ მკვეთრად იხატება ძველ-ეგვიპტური, ბერძნული, ჩინურ-იაპონური და მუსულმანური არქიტექტურის ტიპაჟების ფონზე. იყენებს რა ძველ ქართულ წყაროებს, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“ ვახუშტისეული „გეოგრაფიული აღწერილობა“, შუასაუკუნეების ნარატული წყაროები და ახალი დროის მოგზაურთა ცნობა — ჩანაწერები. ფაქტიურად საქმე გვაქვს საქართველოს ებრაელთა სამოსახლოების ენციკლოპედიური აღნუსხვის მომცველობასთან. რაოდენი ენერგიის პატრონი უნდა ყოფილიყო შოთა ბოსტანაშვილი, რომ ფეხდაფეხ მოეარა ყველა ეს ადგილი დაწყებული აბასთუმნიდან და ხოტევით დამთავრებული. შეესწავლა და ანალიზი გაეკეთებინა სალოცავებისა და სასაფლაოებისა ადიგენში და წილკანში, ახალდაბასა და ქუთაისში, ონში და მუხრანში, აწყვერსა და ცხინვალში, მჯოვსიასა და ბანძაში, ბათუმსა და ბრეთში, თამარაშენსა და ზემოხოდაშენში და სხვაგან.

საერთო ჯამში სამოცამდე დაბა-დასახლებაა გამოკვლეული და ჩვენთვის პირადად ნიშანდობლივია თითქმის ათასწლიანი ლაილაშის ძველი ბაგინას (სალოცავის) წარსული, ბედი. იგი ხომ ჩვენს ძვირფას მეგობრებთან განს. ლერი და სოსო შიმშილაშვილების ინიციატივითა და თანხლებით დავათვალიერეთ, ასეთი ძველი მონუმენტების აღდგენის საკითხიც დაისვა, რაზეც შოთასთან საუბრებშიც არაერთხელ შევჩერდეთ. ყველაფერი საბოლოო ჯამში ფულადი და მატერიალური სახსრების მოძიებისა და სათანადო ფონდების შეკრებამდე დაიყვანებოდა. და აი, შოთასეულ აღწერა-ფოტოგრაფიებში ჩვენ საფლავის ქვების სიმფონიას ვაწყდებით და შევიგრძნობთ. გარე-შემომდებარე სიმწვანით გადასერილი ველები, აღმართული სვეტები, სიმეტრიული დეკორაციებითა და ფაქიზად ამოტვიფრული ასო-სიმბოლოებით. ადამიანთა სურათები, კაცი და ქალი, თეთრი მარმარილოებით გადათქვერილი ზედაპირები, გალავნების რიგი. რაოდენ იცვლება საფლავის ქვათა სტილი მოყოლებული ახალციხიდან ქუთაისის სუჯუნას, კულაშის მიმართულებით, ასევე ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისკენ. ამ მხრივ შოთა ბოსტანაშვილი საქართველოს ებრაელთა სალოცავებისა და სასაფლაოების მესაიდუმლედ გვევლინება, მათ ამამეტყველებლად, დამატებითი შტრიხი, რომელიც ჩვენს პირად ურთიერთობებს აპირობებდა და ავსებდა: 1991 წელი, ღამის 10 საათზე გადის მატარებელი თბილისი-ბაქო. შოთა სადგურისაკენ მიგვაცილებს, გზას გვილოცავს. მოგვიანებით ერევნისაკენ მოგვიწევს გამგზავრება ეთნო-კონფლიქტებით აგონიზებულ ამიერკავკასიაში. ისევ ღამე, მატარებელი თბილისის სადგურზე ჩერდება, ვაგონის გასასვლელისკენ მივემართები, მძიმე რკინის კარი რაღაც სევდიანი ხვნეშით იღება: ზღურბლზე შოთა ბოსტანაშვილის მომღიმარე სახე ჩანს, მას რუბენ ენუქაშვილი ახლავს. ოდნავ ვნაღვლიანდები, რომ ისევ შეწუხდნენ და გაისარჯნენ ღამით სადგურზე გამოსვლით. შოთა ისევ მიღიმის, თითქოს მაგრძნობინებს, ეს ჩვენთვის ბუნებრივიაო. და ასეც იყო ეს სინამდვილეში. შოთა ბოსტანაშვილი — შესანიშნავი მკვლევარი, მეცნიერი, პედაგოგი, არქიტექტურული ლირიკის შემოქმედი, ბრწყინვალე მეგობარი და უპირველეს ყოვლისა — ადამიანი. დაუტკბეს მას მისივ საფლავისეული მიწა და უკვდავება მის სულს.

თელ-ავივი/თბილისი
აპრილი, 2014

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11Ა,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003